

უყურადღებოდ მიტოვებულები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების და მოზრდილების
რეფორმებიდან გარიყვა და მათი უფლებების დაცვა საქართველოს
რესპუბლიკაში

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების
დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის

ანგარიში

ავტორი:

ერიკ მეთიუსი, უფლებების დაცვის ასოციაცია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე
პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია (DRI)

თანაავტორები და კვლევის ჯგუფი

ლორი აჭერნი, DRI პრეზიდენტი

ერიკ როზენტალი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, აღმასრულებელი დირექტორი,
DRI

ჯემს კონროი, ფილოსოფიის დოქტორი, შედეგების ანალიზის ცენტრი

ლორენს ს.კაპლანი, მედიცინის დოქტორი, სახელმწიფო სერტიფიცირებული მეანი,
განვითარების და ბიჰევიორული პედიატრიის განყოფილების ხელმძღვანელი, ბეისტიეტის
ბავშვთა საავადმყოფო

რობერტ მ.ლევო, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა
მოწვეული პროფესორი, კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

კარენ გრინ მაკგოვანი, დიპლომირებული მედდა, განვითარებადი შეზღუდული
შესაძლებლობების მქონე პირთა მედდების ასოციაციის არჩეული პრეზიდენტი

დამფინანსებლები:

ღია საზოგადოების ფონდები,

ჯაკობ და ჰილდა ბლაუსტაინების ორგანიზაცია,

მორტონის და ჯეინ ბლაუსტაინების ორგანიზაცია,

სხვა ორგანიზაციები და DRI-ს კერძო მხარდამჭერები

საავტორი უფლება, 2013 წ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო
ორგანიზაცია

მოცემული ანგარიშის ასლების მიღება შესაძლებელია:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო
ორგანიზაციიდან

1666 კონექტიკუტის გამზირი, სამხრეთ-დასავლეთი, 325

ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი 20009

ტელეფონი: 202.296.0800

E-mail: info@DRIadvocacy.org

ვებ-გვერდი: www.DRIadvocacy.org

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველი

საერთაშორისო ორგანიზაცია

www.DRIadvocacy.org

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია (DRI) არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა ეძღვნება ადამიანთა უფლებების დაცვას და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში სრული ინტეგრაციის პირობების შექმნას. DRI აფიქსირებს სასტიკი მოპყრობის შემთხვევებს და ხელს უწყობს საერთაშორისო ცნობიერების ამაღლებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზრდილთა უფლებებისადმი უყურადღებობის აღმოსაფხვრელად. DRI ტრენინგებს უტარებს და ეხმარება შშმ პირთა და ადამიანის უფლებების დამცველ აქტივისტებს მთელ მსოფლიოში ხელი შეუწყონ უფლებების დაცვას და მომსახურების სისტემის რეფორმას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია დაარსებულია ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქი, რეგიონალური ოფისებით მექსიკაში, სერბეთში და უკრაინაში. DRI გამოიკვლია ადამიანთა უფლებების მდგომარეობა და თანამშრომლობს აქტივისტებთან ორივე ამერიკის, აზიის, ევროპის და შუა აღმოსავლეთის ორ ათეულზე მეტ ქვეყანაში. DRI ავტორია ანგარიშებისა მექსიკის (2010 და 2000 წწ.), შეერთებული შტატების (2010), ვიეტნამის (2009, გამოქვეყნებულია UNICEF-ის მიერ), სერბეთის (2007), არგენტინის (2007), რუმინეთის (2006), თურქეთის (2005), პერუს (2004), აშშ საგარეო პოლიტიკის (2003, გამოქვეყნებულია აშშ ეროვნული საბჭოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა შესახებ), კოსოვოს (2002), რუსეთის (1999, გამოქვეყნებულია UNICEF-ის მიერ), უნგრეთის (1997) და ურუგვაის (1995) შესახებ. ამ ანგარიშებმა არნახული საერთაშორისო ყურადღება გამოიწვიეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა უფლებების მიმართ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია და პერსონალი დაჯილდოებული არიან ჩარლზ ბრონფმანის პრემიით (2013), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ჩარლზ დ.სიგალის პრეზიდენტის პრემიით (2013), ჰენრი ვისკარდის სახელობის მიღწევების პრემიით (2013), მერილენდის დამოუკიდებელი პრემიით განსაკუთრებული მომსახურებისთვის (2013), ჩიკაგოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი სამსახურის პრემიით (2012), ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის ადამიანის უფლებათა დაცვის პრემიით (2009), ვაშინგტონის ფსიქიატრიული საზოგადოების სენატორ პოლის და ქალბატონ შეილა მელსტონის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ვიზიონერების პრემიით (2009), ამერიკის

ასოციაციის შშმ პირთა ჰენრი ბ.ბეტსის პრემიით (2008) და ტომას ჯ.დოდის პრემიით საერთაშორისო სამართლის და ადამიანის უფლებების დარგში (2007).

დირექტორთა საბჭო

ჯონ ჰეფერმანი, საბჭოს პრეზიდენტი - რობერტ ფ.კენედის სამართლის და ადამიანთა უფლებების ცენტრი

ჯონ ბრედშოუ - ეროვნული დაცვის ქსელი

ჰოლი ბარკჰალტერი - საერთაშორისო სამართლის მისია

აილენ ფ.კუკი - ვაშინგტონ პოსტი

რენე კორტუმ გარდნერი - გარდნერი და მილსის ჯგუფი, შპს

შენა ლაიკელი - თურქეთის ადამიანთა უფლებები გონებრივი ჯანმრთელობის ინიციატივაში

სტეფანი ორტოლევა - მკაცრი კანონის საერთაშორისო ორგანიზაცია, შპს

კეტი რაიანი - საერთაშორისო პროექტი ჩერნობილის ბავშვებისთვის

მსოფლიო ელჩი: ჰოლი ვალენსი

1. სარჩევი

წინასიტყვაობა: ანგარიშის მიზნები და მეთოდები 7

მადლიერება 11

ძირითადი დებულებები 12

A. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და მოზრდილები უწყურადღებოდ არიან მიტოვებული 14

B. არაადეკვატური და დისკრიმინაციული საზოგადოებრივი მომსახურება 18

C. ძალადობა საქართველოს დაწესებულებებში 20

D. საერთაშორისო დონორების მიერ ახალი ინვესტიციების ჩადება სეგრეგირებულ დაწესებულებებში 22

მოკლე რეკომენდაციები 25

A. შშმ პირთა უფლებების უზრუნველყოფა იცხოვრონ საზოგადოებაში 26

B. ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა 27

C. დაიცავით ბავშვები ტრეფიკინგისაგან 28

შენიშვნები 30

(სრული ანგარიში იხ. ინგლისურ ვარიანტში)

I. შესავალი

A. ანგარიშის მიზნები

B. პოლიტიკური და სოციალური კონტექსტი

II. დაკვირვება

A. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმა

- თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი
- შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისთვის სენაკის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი

B. შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვთა და მოზრდილთა სეგრეგაცია და ძალადობა

- საზოგადოებრივი მომსახურების დისკრიმინაცია შშმ ბავშვთა დაწესებულებებში

- შშმ მოზრდილთა მიტოვება
- ლეგალური ინდივიდუალობის და სამართლის მიღწევაზე უარის თქმა
- არასაკმარისი კონტროლი და მონიტორინგი

III. ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციის ვალდებულებები და სტრატეგიული რეკომენდაციები

- A. ჯანმრთელობის უფლება
- B. საზოგადოებაში ინტეგრაციის უფლება
- C. ლეგალური ინდივიდუალობის უფლება
- D. ადამიანის უფლების კონტროლი

IV. რეკომენდაციები საერთაშორისო დონორებს

A. გლობალური ჩართულობა

V. დანართი A: ექ. ლოურენს კაპლანის კლინიკური შეფასება

წინასიტყვაობა:

ანგარიშის მიზნები და მეთოდები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ერთი მილიარდი ადამიანი მსოფლიოში არაპროპორციულადაა განაწილებული მსოფლიოს ღარიბ მოსახლეობას შორის და განიცდის სტიგმატიზაციას და დისკრიმინაციას.¹ ოცი წლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ (DRI) დოკუმენტურად დააფიქსირა ყველაზე სასტიკი ძალადობის შემთხვევები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების წინააღმდეგ, რომელთაც ადგილი აქვთ იმ ქვეყნებში, სადაც ადამიანები იზოლირებული არიან საზოგადოებიდან: თავშესაფრებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა სახლებში და „სოციალური მზრუნველობის“ დაწესებულებებში (იხ. ანგარიშები ვებ-გვერდზე www.DRIadvocacy.org).

ამ ბოლო დროს მიღებულმა და ფართოდ რატიფიცირებულმა გაერთიანებული ერების კონვენციამ შშმ პირთა უფლებების შესახებ (CRPD) სათანადო ყურადღება მიაპყრო ადამიანის უფლებების დაცვას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უგულბებლყოფილი იყო ადამიანის უფლების დამცველი საზოგადოების მიერ. CRPD პუნქტი 19 ადგენს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების ყველა პირს უფლება აქვს იცხოვროს საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ 138 სახელმწიფომ მოახდინა CRPD² რატიფიცირება, ქვეყნების უმრავლესობაში კვლავ ხდება შშმ ბავშვების და მოზრდილთა სეგრეგაცია. UNICEF -ის მიხედვით მსოფლიოში არსებობს *სულ ცოტა* 8 მილიონი ბავშვი, რომელიც მოთავსებულია დაწესებულებებში (ინსტიტუციებში)³. ფაქტიური რაოდენობა შეიძლება ბევრად მეტი იყოს, რადგან DRI-მ ბევრ ქვეყანაში აღმოაჩინა ბავშვები, რომლებიც არ არიან აღრიცხული. არ არის აღრიცხული ბავშვების უდიდესი რაოდენობა, რომლებიც კვდებიან დაწესებულებებში ყოველგვარი აღრიცხვისა და ყურადღების გარეშე - ან ბავშვები, რომლებიც იზრდებიან და მთელი ცხოვრება იტანჯებიან მოზრდილთა დაწესებულებებში.

მოცემული ანგარიში დოკუმენტურად აღწერს ქვეყნის ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობის - დაწესებულებებში მოთავსებული შშმ ბავშვების - უფლებების დაცვას საქართველოში. როდესაც ჩვენ ვიკვლევთ დაწესებულებებში უფლებების დარღვევას, როგორცაა სიცოცხლისათვის საშიში მოქმედებები, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობა და წამება, ჩვენმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ უფლებათა დაცვა საბოლოოდ დამოკიდებულია CRPD პუნქტ 19-ის ცხოვრებაში გატარებაზე. სანამ ყველა ბავშვს არ ექნება საშუალება იცხოვროს საზოგადოებაში ოჯახის სიყვარულის და დაცვის ქვეშ, მათი უფლებები არ შეიძლება მთლიანად დაცული იყოს.

DRI-ის სტრატეგიული მიზანია ბოლო მოეღოს შშმ ადამიანთა სეგრეგაციას მთელ მსოფლიოში, როგორც ამას კონვენციის პუნქტი 19 მოითხოვს. მოცემული ანგარიში არის DRI-ის **ბავშვების ინსტიტუციონალიზაციის აღმოფხვრის მსოფლიო კამპანიის** ნაწილი. ამ კამპანიით ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ საშიშროებები, რომელსაც ადგილი აქვს *ნებისმიერი* ბავშვის დაწესებულებაში მოთავსებისას - პრაქტიკა, რომელიც იწვევს ქმედუუნარობას, შემაშვოთებელი რაოდენობის ბავშვების დალუპვას და მივყავართ მილიონობით შშმ ადამიანების სეგრეგაციამდე მთელი ცხოვრების განმავლობაში. ბავშვები ხვდებიან დაწესებულებებში სიღარიბის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო ან რადგან ისინი წარმოადგენენ უმცირესობის ნაწილს⁴. ჩვენ ვთანამშრომლობთ მსოფლიოს აქტივისტებთან მსოფლიოში ყველაზე მარგინალიზებული ადამიანების დასაცავად.

DRI-ის **ბავშვების ინსტიტუციონალიზაციის აღმოფხვრის მსოფლიო კამპანია** აგრეთვე მიმართულია დონორების და საერთაშორისო განვითარების სააგენტოების დასახმარებლად, რომ შეიმუშაონ პროგრამები, რომლებიც დააკმაყოფილებს CRPD მოთხოვნებს და ეფექტურად შეუწყობს ხელს საზოგადოებაში ინტეგრაციის უფლებას. ვიმედოვნებთ, რომ ეს ანგარიში ხელს შეუწყობს საერთაშორისო ძალისხმევას დაიცვას და მოემსახუროს შშმ ადამიანებს საქართველოში. CRPD შეიცავს ინოვაციურ დებულებას, პუნქტი 32, რომელიც მოითხოვს საერთაშორისო დონორებისგან ხელი შეუწყონ კონვენციის „მიზანს და პრინციპებს“ და უზრუნველყონ, რომ განვითარების პროგრამები „მოიცავს და ხელმისაწვდომია შშმ პირთათვის“. იმ დროს, როდესაც მთავრობებს ეკისრება ადამიანის უფლების დაცვის უდიდესი პასუხისმგებლობა, დონორებს შეუძლიათ და უნდა იყვნენ პასუხისმგებელი CRPD პრინციპებისადმი.

მოცემული ანგარიში ფაქტების დადგენის შედეგია, რომელიც ჩატარდა საქართველოში ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით და აგრეთვე უცხოელ იურიდიული, სამედიცინო და ქმედუუნარობის შემსწავლელ ექსპერტებთან ერთად. 2010 წლის ივლისიდან 2013 წლის სექტემბრამდე DRI საქართველოში ფაქტების დამდგენი 6 ვიზიტი ჩატარა. DRI შეისწავლა მდგომარეობა 10 საცხოვრებელ დაწესებულებაში, ყველა სახელმწიფო ჩვილ ბავშვთა სახლის და შშმ ბავშვთა თავშესაფრების, შშმ მოზრდილთა ოთხი სოციალური მზრუნველობის სახლის და შშმ ბავშვთა პანსიონების ჩათვლით. ეს ანგარიში არ შეიცავს საქართველოში ფსიქიატრიული საავადმყოფოების შესწავლას.

DRI-მ მოიწვია მაღალი დონის მოხალისე-ექსპერტების ჯგუფი, რომელშიც შედიოდა: ჯეიმს კონროი, ფილოსოფიის დოქტორი, შედეგების ანალიზის ცენტრი; ლორენს ს.კაპლანი, მედიცინის დოქტორი, სახელმწიფო სერტიფიცირებული მეანი, განვითარების და ბიჰევიორული პედიატრიის განყოფილების ხელმძღვანელი, ბეისტიეტის ბავშვთა საავადმყოფო; რობერტ მ.ლევინი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა მოწვეული პროფესორი, კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; კარენ გრინ მაკგოვანი, დიპლომირებული მედდა, განვითარებადი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მედდების ასოციაციის არჩეული პრეზიდენტი.

ანგარიში მიზნად არ ისახავს დაადანაშაულოს ცალკეული პიროვნებები, პოლიტიკოსები ან დაწესებულების პერსონალი. ჩვენ ვაღიარებთ, რომ სახელმწიფო ორგანოების და საერთაშორისო მრჩეველები ცდილობდნენ გაეკეთებიათ რაც შეიძლება მეტი სიკეთე შშმ ბავშვების და მოზრდილებისთვის. დაწესებულებების პერსონალის ბევრი წარმომადგენელი, რომლებსაც ჩვენ შევხვდით, მუშაობს უმძიმეს პირობებში და ვერ შეძლებდნენ მუშაობის გაგრძელებას რომ არა მათი პროფესიული თავგანწირვა და ერთგულება იმ პირებისადმი, რომლებსაც ისინი უვლიან. DRI მადლობას უხდის მრავალ ოფიციალურ პირს, პროფესიონალებს და პერსონალს, რომლებმაც თავისი დრო და ცოდნა დაუთმეს ჩვენ სამუშაოს.

ყველა დაწესებულებაში, რომელიც ჩვენ მოვინახულეთ, ვცდილობდით რაც შეიძლება საფუძვლიანად გავცნობოდით სიტუაციას, რომ გაგვეგო იმ ადამიანების უფლებების მდგომარეობა, რომლებიც ცხოვრობენ დაწესებულებებში; ხშირ შემთხვევებში ჩვენ რამდენჯერმე ვბრუნდებოდით დაწესებულებებში. ჩვენ მოვითხოვეთ, გვანება დაწესებულებების ყველა ნაწილი. გამოვკითხეთ დაწესებულების პერსონალი და მაცხოვრებლები. ყოველი ვიზიტის დროს DRI იყენებდა ვიდეო კამერას დაკვირვებების გადასაღებად. ყველა დაწესებულებაში გადავიღეთ სურათები. ჩვენი გამოცდილებით ფოტო და ვიდეო მასალა ძალიან გვეხმარება ჩვენი დაკვირვებების გამყარებაში და ხელს უწყობს ადამიანებს დაწესებულებაში ცხოვრების რეალობის გააზრებაში. ჩვენ ძალიან მგრძობიარე ვართ ფოტოზე აღბეჭდილი ცალკეული ადამიანების პრობლემებისადმი, რომელთათვის დაწესებულებაში მოთავსება შეიძლება წარმოადგენდეს ძალადობას პირად ცხოვრებაზე და მათ შესაძლებლობაზე არჩევანი გააკეთონ თავისი ცხოვრების შესახებ. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ზოგადად ადამიანები დაწესებულებებში დამყოლი არიან და სურთ გადაიღონ ფოტოები.

DRI-მ მოინახულა შემდეგი დაწესებულებები:

- თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი (5 ვიზიტი)
- მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლი (1 ვიზიტი)
- კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი (3 ვიზიტი)
- სენაკის შშმ ბავშვთა სახლი (2 ვიზიტი)
- თბილისის №200 სკოლა პანსიონური მომსახურებით შშმ ბავშვებისათვის (1 ვიზიტი)
- მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულება მოზრდილთათვის (2 ვიზიტი)
- ძეგრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულებას მოზრდილთათვის (1 ვიზიტი)

- „თემი“ სახლი შშმ მოზრდილთათვის (1 ვიზიტი)
- სახლი „კედელი“ შშმ მოზრდილთათვის (1 ვიზიტი)
- გლდანის ფსიქიატრიული საავადმყოფო (2 ვიზიტი)

უდაოა, რომ არსებობს მრავალი ღირებული პროგრამა - ისევე როგორც ძალადობის სერიოზული ფაქტები - რომლებიც ჩვენ ვერ შევძელით აგვესახა ჩვენ ანგარიშში. ბოლო წლების განმავლობაში შეიქმნა მთელი რიგი სამოდელო პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს შშმ ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირებას, განსაკუთრებით ოჯახის დახმარება და ადრეული ინტერვენციის პროგრამები რომლებიც გამიზნულია ინსტიტუციონალიზაციის პრევენციისთვის. ვიმედოვნებთ, რომ ეს ანგარიში ხელს შეუწყობს ამ პროგრამების გაფართოებას, რათა მათში ჩაერთოს ყველა ინსტიტუციონალიზებული შშმ პირი.

ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის და განვითარების სააგენტოებისთვის, რომლებიც დაფუძნებულია და შეესაბამება UN CRPO საერთაშორისო სტანდარტებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შშმ ბავშვებს და მოზრდილებს მიეცეთ მეტი უფლება იცხოვრონ თავსე და საინტერესო ცხოვრებით ოჯახში და საზოგადოებაში.

2010 წლიდან ჩვენი გამოკვლევების გარდა DRI საქართველოში მუშაობდა ადგილობრივ აქტივისტებთან და ოფიციალურ სახელმწიფო პირებთან ქვეყანაში ადამიანის უფლებების აქტიური დაცვისთვის და შშმ ბავშვების და მოზრდილების საზოგადოებაში ინტეგრაციის დასამკვიდრებლად. ჩვენი ძალისხმევით და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობის შედეგად ადამიანის უფლებების ზოგიერთ, ყველაზე უხემ დარღვევებზე, რომელსაც განიცდიდნენ შშმ ადამიანები და რომლებიც ჩვენ აღვრიცხეთ საქართველოში, ზომები უკვე მიღებულია ჩვენი ანგარიშის გამოქვეყნებამდე:

- მოხდა ბავშვთა სიცოცხლის გადარჩენა იმით, რომ შემცირდა შერჩევითი და დისკრიმინაციული უარის თქმა სამედიცინო დახმარებაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის - DRI-ის ხანგრძლივი ხელშეწყობის შედეგად და ადგილობრივ ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვები“ და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან თანამშრომლობით შშმ ბავშვებმა თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, რომლებიც დისკრიმინაციულად უარს იღებდნენ სამედიცინო დახმარებაზე, მიიღეს სასიცოცხლოდ აუცილებელი მკურნალობა. თუმცა როგორც ამ ანგარიშში აისახება, უარი შესაბამის მოვლაზე ისევ რჩება გამოწვევად და სასწრაფო მოქმედებებია საჭირო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დასაცავად.
- DRI-მ გაუწია ექსპერტული სამედიცინო და იურიდიული დახმარება საქართველოს სახალხო დამცველის ოფისს 2012 წელს, რომ შეესწავლათ და გამოექვეყნებიათ ქმედითი და კარგად დოკუმენტირებული დასკვნა შშმ ბავშვების

წამების და ცუდი მოპყრობის შესახებ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში.

- **გეგმები შეექმნათ მცირე ახალი დაწესებულებები შეიცვალა ინტერნატებით** - 2011 წელს DRI-მ შეიტყო ძირითადი საერთაშორისო დონორის გეგმების შესახებ მოეწყო 14-საწოლიანი დაწესებულებები შშმ ბავშვებისათვის.⁶ 2012 წელს DRI მიერ ქართველი აქტივისტების და სახელმწიფო ოფიციალური პირებისათვის ჩატარებული ტრენინგის შემდეგ დონორმა შეცვალა თავისი გეგმები და მთავრობა დათანხმდა, რომ მომაველ საზოგადოებრივ რეზიდენტული მომსახურების სახლებში იქნებოდა არა უმეტეს 6 შშმ ბავშვებისა. ამ „რაც ნაკლებია, მით მეტია“ მიდგომას ზოგი ადგილობრივი აქტივისტი „DRI-ის მოდელს“ უწოდებს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ DRI-მ მომხრეა უფრო მეტად ინტეგრირებული გარემოსი და საუკეთესო მოდელად მიიჩნევს უფრო მცირე სახლებს ან ოჯახში განთავსებას.
- **აშშ კონგრესმა დაგმო დაწესებულებების კაპიტალური რემონტის აშშ მთავრობის პრაქტიკა** - როდესაც DRI-მ წარმოადგინა USAID-ის და თავდაცვის დეპარტამენტის დოკუმენტები, რომლებიც აფინანსებდნენ შშმ პირთა განცალკევებული დაწესებულებების აშენებას და განახლებას, აშშ სენატის ასიგნების კომისიამ დაიწუნა USAID-ის ფონდების ისე გამოყენება რომ „ეს გამოიწვევდა შშმ ბავშვთა და მოზრდილთა არასწორ სეგრეგაციას იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს მთავრობამ აირჩია ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკა“. შემდეგ კომისიამ მიმართა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაემუშავებია და დაენერგა ინსტიტუციურ გარემოში მცხოვრებ შშმ ბავშვთა და მოზრდილთა საზოგადოებაში ინტეგრაციის გეგმა. მაშინ, როდესაც USAID დააფინანსა რიგი ძვირადღირებული შშმ პირთა დახმარების პროექტი, ოჯახის დახმარების და აღზრდის პროგრამების ჩათვლით, აშშ მთავრობას, როგორც ჩვენ ვიცით, არ გადაუდგამს ნაბიჯები ასეთ პირთა, რომლებიც ცხოვრობენ აშშ მთავრობის ფონდებით განახლებულ დაწესებულებებში, საზოგადოებაში ინტეგრირებისკენ.

ანგარიში დაწერილია ინგლისურ ენაზე. მიუხედავ იმისა, რომ ჩვენ ყოველნაირად ვცადათ მიგველო ზუსტი თარგმანი, აუცილებლად იქნება განსხვავებები ტექნიკურ მნიშვნელობებში და ნიუანსებში. თუ წარმოიშვა რაიმე შეკითხვა ორ ვერსიას შორის შეუსაბამობების შესახებ, გთხოვთ მიმართოთ ინგლისურ ორიგინალს.

მადლიერება

შშმ პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია (DRI) დავალებულია მრავლი პირისგან და ორგანიზაციისგან, რომლებმაც დახარჯეს თავისი დრო და ენერჯია, რომ წარმოედგინათ შშმ პირთა უფლებების მდგომარეობა საქართველოში.

“ევრიჩაილდ” საქართველო, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, საქართველოს ბავშვები, საქართველოს პირველი ნაბიჯი, UNICEF და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ განსაკუთრებით დიდსულოვნად დაგვითმეს თავისი დრო.

DRI მადლობელია ინფორმაციისათვის, რომელიც მან მიიღო საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორგანიზაციებიდან (DPO). შეხვედრები უფლებადამცველებთან ორგანიზაციებიდან „პარტნიორობა თანაბარი უფლებებისთვის“, „საქართველოს კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ და „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“ ნამდვილად ამაღელვებელი იყო.

მადლობას ვუძღვნიტ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომელიც დაგვხმარა შევსულყავით დაწესებულებებში კვლევების ჩასატარებლად. განსაკუთრებული მადლობა გვინდა ვუთხრათ გიორგი კაკაჩიას საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების პირდაპირი და პატიოსანი შეფასებისთვის და მისი თანაგრძნობისათვის შშმ ბავშვთა და მოზრდილთა დაწესებულებებში.

მადლობას ვუხდით ბრიუს კურსისს, შშმ პირთა მსოფლიო ინსტიტუტი, რომ მიგვიწვია საქართველოში და გაგვაცნო ქვეყანაში შშმ პირთა უფლებების დამცველ აქტივისტებს.

ყოველი მოგზაურობისას ჩვენ ფანტასტიური გამოცდილება მივიღეთ ჩვენი მძღოლის ზვიად ფირცხალავასგან.

DRI-ის სამუშაოს შესრულება შეუძლებელია ადრიენ ჯონსის, ჩვენი ფინანსთა და ადმინისტრირების დირექტორის და მისი ასისტენტის ს.სინკლერის დახმარების გარეშე.

ჩვენ გვინდა მადლობა გადავუხადოთ ღია საზოგადოების ორგანიზაციებს, იაკობ და ჰილდა ბლაუსტაინების საზოგადოებას, მორტონ და ჯეინ ბლაუსტაინების საზოგადოებას და სხვა სხვა საზოგადოებებს და ინდივიდუალურ მხარდამჭერებს, რომლებსაც სჯერათ ჩვენი მისიის და შესაძლებელს ხდიან ჩვენ დახმარებას.

და განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ანა არგანაშვილს, ანა ლალიძეს, ანა აბაშიძეს და ანდრო დადიანს მათი დახმარების და პერსონალური თავდადებისათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვაში.

ძირითადი დებულებები

ანგარიში - უყურადღებოდ მიტოვებულები: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების და მოზრდილთა რეფორმებიდან გარიყვა და მათი უფლებების დაცვა საქართველოს რესპუბლიკაში არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის (DRI) 3 წლიანი კვლევის

შედეგი საქართველოს თავშესაფრებში, მოზრდილთა სოციალური დახმარების სახლებში და სხვა დაწესებულებებში, სადაც ცხოვრობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და მოზრდილები.

ეს ანგარიში ასახავს საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევას შშმ პირთა მიმართ საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ადამიანთა უფლებების დაცვის ხელშეკრულებების პირობებში, ბავშვთა უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების (UN) კონვენციის,⁷ ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის⁸ და წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის⁹, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაეროს კონვენციის¹⁰ პირობებში, რომლებიც ხელმოწერილია საქართველოს მიერ.

ანგარიში ასახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზრდილთა გარიყვას შიდა რეფორმებიდან და საერთაშორისო განვითარების პროგრამებიდან. გასული ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ გაატარა ამბიციური ბავშვზე ზრუნვის რეფორმა. შედეგად, სახელმწიფო ორგანიზაციების უმრავლესობა შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე ბავშვებისთვის დაიხურა და მათ ჩაენაცვლა საზოგადოებრივი მომსახურება, რომელიც საშუალებას აძლევს მოწყვლად ოჯახებს ბავშვები სახლში დაიტოვონ. ამ ძალისხმევის შედეგები ძალიან ფართოა და მთავრობას და მის პარტნიორებს უნდა დაუფასოთ ეს მიღწევები. UNICEF-მა შეასრულა მნიშვნელოვანი ლიდერის როლი ამ რეფორმების დაგეგმვაში. **თუმცა DRI-ის კვლევებმა გამოაჩინა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ინსტიტუციონალიზებული ბავშვები დიდ წილად ამოღებული იყვნენ ამ რეფორმის პროცესიდან. ეს ბავშვები ისევ რჩებიან მარგინალიზებული და განიცდიან ძალადობას.** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზრდილთა მომსახურების გარეშე ასეთი ბავშვები მთელი სიცოცხლის განმავლობაში საზოგადოებიდან გარიყული რჩებიან.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებობს ობოლთა თავშესაფრების პარალელური სისტემა. იმ დროს, როდესაც სახელმწიფო ხურავს სახელმწიფო ობოლთა თავშესაფრებს, ეკლესია განაგრძობს ახალი ობოლთა თავშესაფრების დაარსებისა და ფინანსირებას. რადგან ეს დაწესებულებები სრულიად არ რეგულირდება, ისინი წარმოადგენს განსაკუთრებით სერიოზულ საფრთხეს ადამიანთა უფლებების თვალსაზრისით. ამ დაწესებულებებში არსებული ბავშვთა რაოდენობა უცნობია.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე მრავალი ბავშვის და მოზრდილის გამორიცხვამ ამ რეფორმებიდან შესაძლებელი გახადა სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის, უგულუბელოების და სეგრეგაციის გაგრძელება საქართველოს ობოლთა ბავშვთსახლებში და სხვა დაწესებულებებში. მაშინაც კი, როდესაც საქართველო ხურავდა სახელმწიფო დაწესებულებებს შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე ბავშვებისათვის აშშ მთავრობა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებდნენ ახალი ინსტიტუციების მშენებლობას და რეკონსტრუქციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის - ამით

ახანგრძლივებდნენ შერჩევით მზრუნველობას საქართველოს ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობისთვის. ამ მოქმედებებმა წინ ვერ წასწიეს ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპები, რომელსაც მოითხოვს გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისთვის.

საქართველოს რეზიდენტულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები განიცდიან ფიზიკურ და ემოციურ უგულუბისყოფას და ძალადობას, ბევრი ბავშვი მოკლებულია სიცოცხლისთვის აუცილებელ სამედიცინო მკურნალობას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები არიან. ერთ ობოლთა თავშესაფარში DRI-მ აღრიცხა 30% სიკვდილიანობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებში 2009-2010 წლების 18 თვეში. ისინი ვინც გადარჩებიან, სიცოცხლის ბოლომდე თავშესაფარში რჩებიან.

დაწესებულებებში რომლებიც DRI-მ მოინახულა საქართველოში, მკვლევარებმა ნახეს ბავშვები და მოზრდილები, რომლებიც მთელ სიცოცხლეს უმოძრაოდ ატარებენ, ზოგი წინ და უკან ქანაობს, იკვნეტს ხელებს და თვალებს აცეცებს. ფსიქოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ თვით-დაზიენება ხშირად გამოწვეულია გონების დამორგუნველი მოწყენილობით და დაწესებულებაში ემოციური ცხოვრების უგულუბელოფით¹¹.

A. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და მოზრდილები უყურადღებოდ არიან მიტოვებული

როდესაც საქართველო ჩაება ბავშვთა სახლების დახურვის პროექტში, შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვები გამორიცხეს. ამ ანგარიშის მთავარი აღმოჩენაა, რომ საქართველოს მთავრობამ დაიწყო რეფორმის პროცესი ისე, რომ დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების და მოზრდილების დაწესებულებებში გაგრძელდა.

საქართველოში ბავშვზე ზრუნვის და დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმა აქტიურ ფაზაში შევიდა 2009 წელს. იმ წელს საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა გაეროს კონვენციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ და გადაწყვეტილება მიიღო შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის შესახებ. ერთი წლით ადრე, 2008 წელს, აშშ მთავრობამ 1 მილიარდი დოლარი გამოუყო საქართველოს, აქედან 50 მილიონი საქართველოში სოციალური მომსახურების გასაუმჯობესებლად¹². ეს იყო ინსტიტუციონალიზებული შშმ საქართველოს ბავშვებისთვის საზოგადოებაში ინტეგრირების შესაძლებლობა.

UNICEF-ის, ბავშვზე ზრუნვის რეფორმების დაგეგმვაში საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორის, სპეციალისტებმა აუხსნეს DRI-ს, რომ ისინი აპირებდნენ ხელი შეეწყობთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. თუმცა მათ მოახსენეს DRI-ს, რომ **გადაწყვიტეს პრიორიტეტად**

გამოცხადებით შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე ბავშვების ინტეგრაცია საზოგადოებაში¹⁴. UNICEF-ის მიხედვით ეს მათ საშუალებას მისცემდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს მოგვიანებით მიბრუნებოდნენ.

საქართველოს დაწესებულებებში შშმ ბავშვების უმრავლესობისთვის „მოგვიანებით“ აღარასდროს დადგა და ბევრი გარდაიცვალა ამ მოლოდინში. ამასობაში, რეფორმის დაფინანსება დიდად შეიკვეცა და შშმ ბავშვების დახმარების შესაძლებლობა შემცირდა. დეინსტიტუციონალიზაციის დასრულების პოლიტიკური ნება გაქრა. ეს ანგარიში გვიჩვენებს შშმ ბავშვების რეფორმის ყველა სტადიიდან ამოღების საშიშროებას.

2009 წელს UNICEF-მა დაიქირავა დამოუკიდებელი კონსულტანტები, ოქსფორდის პოლიტიკის მენეჯმენტი, რათა მათ გადაეხედათ ბავშვზე ზრუნვის რეფორმის სტრატეგიის პირველი ეტაპებისთვის. კონსულტანტებმა გააფრთხილეს UNICEF, რომ „საფიქრებელია, რომ შშმ პირების საჭიროებები წარმოადგენს დიდ ხარვეზს მომსახურების უზრუნველყოფაში“¹⁵

რა მიდგომებიც არ უნდა ჰქონოდათ საერთაშორისო მრჩეველებს შშმ ბავშვების დახმარებისთვის, რომლებიც დაწესებულებების გარეთ დარჩნენ, საქართველოს მთავრობამ სრულად არ აღიარა, რომ ყველა შშმ ბავშვის უმთავრესი უფლებაა იყოს ინტეგრირებული საზოგადოებაში.

სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ ფიზიკურად ჯანმრთელი ბავშვები არ უნდა დარჩნენ ბავშვთა მოვლის დიდ დაწესებულებებში, არამედ ისინი უნდა იშვილონ და გაზარდონ ოჯახის მზრუნველობის პირობებში - საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ეს არის მათთვის საუკეთესო არჩევანი. რაც შეეხება შშმ ბავშვებს მიზანშეწონილია და საკმაოდ ნორმალური, რომ ისინი გაიზარდონ და დარჩნენ ბავშვთა დაწესებულებებში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (ნოემბერი, 2013 წ.)¹⁶

DRI-ს კვლევამ გვიჩვენა, რომ თითქმის 5 წლის შემდეგ შშმ ბავშვები და მოზრდილები ისევ რჩებიან საქართველოში გატარებული რეფორმების გარეთ. შშმ ბავშვები, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ ითვლებიან იმდენად შეზღუდული შესაძლებლობების მქონედ, რომ ისინი ვერ ისარგებლებენ სხვა მომსახურებით, რომელსაც ქმნის რეფორმები, დღესაც რჩებიან სახელმწიფო დაწესებულებებში¹⁷.

UNICEF და USAID ამბობენ, რომ ინსტიტუციური მოსახლეობა საქართველოს სახელმწიფო თავმესაფრებში 2005 წლის შემდეგ შემცირდა 90%-ზე მეტით¹⁸ - სახელმწიფო დაწესებულებებში რჩება 150 ბავშვზე ნაკლები.

თუმცა ეს რაოდენობა არ მოიცავს ბავშვებს, რომლებიც ცხოვრობენ ეკლესიის დაწესებულებებში. ის არ მოიცავს ბავშვებს, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ექვს რეზიდენტულ პანსიონატში შშმ ბავშვებისათვის. არც იმ ბავშვთა უმრავლესობას, რომლებიც მუდმივად გადაყავთ მოზრდილთა დაწესებულებებში ათწლეულის განმავლობაში. **როდესაც მთავრობა ხურავდა სახელმწიფო ბავშვთა სახლებს, ბავშვები გადაყავდათ სეგრეგირებული გარემოს ამ სხვა ფორმებში.**

სახელმწიფო ატყუებს ამ ბავშვებს - საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი (2013)¹⁹

2013 წლის სექტემბერში ჩაწერილი ინტერვიუს დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა უარი თქვა DRI-სთვის მიეწოდებინა მონაცემები ბავშვების რაოდენობის შესახებ, რომლებიც იმყოფება მათი მზრუნველობის ქვეშ- განაცხადა რა, რომ „მხოლოდ „რამდენიმე ბავშვი“ ცხოვრობს არაფორმალურ სამონასტრო სახლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით²⁰. საქართველოს მთავრობის სოციალური დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა და UNICEF-მა მოახსენეს DRI-ს, რომ **მათ არ იციან რამდენი ბავშვი ცხოვრობს საქართველოს საეკლესიო დაწესებულებებში** და რომ ისინი მთლიანად არარეგულირებადი არიან. ერთმა ქართველმა ბავშვთა უფლებების დამცველმა აქტივისტმა მოახსენა DRI-ს 2013 წელს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მოწყობილ თავშესაფრებში შეიძლება იყოს 1200 ბავშვი, ხოლო აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) წარმომადგენელი ასახელებს 1500²¹. თუ ეს შეფასება სწორია, საქართველოს თავშესაფრებში და დაწესებულებებში კვლავ უძღვრება დაახლოებით 1650 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე ბავშვი¹. რეალური რაოდენობა შეიძლება მეტი იყოს.

საქართველოს საეკლესიო დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვები მთლიანად ამოღებული არიან დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმებიდან. ოქსფორდის პოლიტიკის მენეჯმენტის მიხედვით, ამ დაწესებულებებიდან ყოველგვარი მონაცემების გარეშე „**შეუძლებელია იმის თქმაც კი, თუ რეზიდენტული მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების რაოდენობა ქვეყანაში იკლებს თუ იმატებს, არამც თუ მათი კეთილდღეობის შეფასება**“²³

საეკლესიო დაწესებულებებში ბავშვთა რაოდენობის ან ადგილმდებარეობის შესახებ მთავრობაში ინფორმაციის ნაკლებობა ქმნის იმის საფრთხეს, რომ ბავშვები შეიძლება გახდნენ ძალადობის ან ტრეფიკინგის მსხვერპლნი მთავრობის ცოდნის გარეშე.

¹ UNICEF-ის 2013 წლის სექტემბრის შეფასებით 150 შშმ ბავშვი კვლავ რჩება სახელმწიფო თავშესაფრებში. მთავრობამ არ იცის რამდენი ბავშვი ცხოვრობს საეკლესიო თავშესაფრებში. როგორც ქვემოთ აღვნიშნავთ, ადგილობრივმა აქტივისტებმა დაუდასტურეს DRI-ს, რომ 1500-მდე ბავშვი ცხოვრობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თავშესაფრებში.

USAID და სახალხო დამცველის ოფისმა მოგვახსენეს ბავშვების გადაყვანის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებებიდან არარეგულირებად საეკლესიო თავშესაფრებში.

ზოგჯერ სოციალური მუშაკები მიმართავენ ეკლესიას, რომ ადგილი მოუძებნონ ბავშვებს.. მე მგონია ეს უფლებების დარღვევაა - USAID წარმომადგენელი (2013 წ.)²⁴

იყო შემთხვევა, როდესაც ერთმა ბავშვმა გამოიცვალა 6 თუ 7 დაწესებულება. დაიწყო სახელმწიფო დაწესებულებიდან, გადავიდა საეკლესიოში, შემდეგ კერძო დაწესებულებაში, ისევ საეკლესიოში, ისევ კერძოში, შემდეგ მე ის ვიპოვე სახელმწიფო დაწესებულებაში და ახლა - არ ვიცი სად არის. ბავშვებს ყოველთვის აგდებენ აღსაზრდელთა და მცირე საოჯახო სახლებიდან, რადგან მათ არა აქვთ საკმარისი თანხები და უხდებათ მათი სადმე მოთავსება.. მაგრამ ოფიციალურად ისინი ამას არ ამბობენ - საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი (2013 წ.)²⁵

ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში DRI-მ გამოკითხა და ჩაიწერა რამდენიმე მშობელის მონათხრობი, რომლებსაც ჩამოართვეს ბავშვები²⁶. ამ დაწესებულების დირექტორის თქმით ბავშვები სახელმწიფო პირებმა მოათავსეს არარეგულირებულ საეკლესიო თავშესაფრებში²⁷.

ეკლესიას სჭირდება ნებართვა, რომ აწარმოოს 24 საათიანი მზრუნველობა და მათ არა აქვთ ასეთი ნებართვა. ამგვარად გვრჩება ერთადერთი საშუალება: მივმართოთ სასამართლოს. მაგრამ ძალიან ძნელია ეკლესიას უჩივლო სასამართლოში - სოციალური დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის მინისტრი (2013 წ.)²⁸

საქართველოს მთავრობის სოციალური დაცვის პროგრამების დეპარტამენტის დირექტორმა მოახსენა DRI-ს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ხანდახან პოულობს მოწყვლად ოჯახებს და არწმუნებს მათ გადასცენ ბავშვები ეკლესიას.²⁹ უცნობია რამდენი შშმ ბავშვია კერძო ან საეკლესიო დაწესებულებებში.

იმ დროს როდესაც სახელმწიფო დაწესებულებები შშმ ბავშვებისათვის იხურება, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აშენებს ახალ დაწესებულებებს, რომლებიც ნაწილობრივ ფინანსდება მთავრობის მიერ და არც რეგულირდება და არც კონტროლდება³⁰. 2013 წლის სექტემბრის მონაცემებით ეს ბავშვები კვლავ რეფორმის მიღმა რჩებიან³¹.

კონტროლის და მონიტორინგის ნაკლებობა საეკლესიო დაწესებულებებში, წარმოშობს იმის რისკს, რომ ბავშვები ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდნენ². საქართველოს მთავრობის

² DRI არ აღწერს ადამიანის ტრეფიკინგის შემთხვევებს და არ ფიქრობს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ტრეფიკინგს ეწევა არარეგულირებული თავშესაფრების ამოქმედებით. ადამიანის ტრეფიკინგის რისკი იქმნება ყველგან, სადაც არ არის კონტროლი და არ ხდება ბავშვთა ადგილსამყოფელის მონიტორინგი ან დადგენა ოჯახის წევრების ან სახელმწიფო ოფიციალური პირების მიერ. განსაკუთრებით მოსალოდნელია კრიმინალური აქტივობა დახურულ გარემოში, სადაც არ ხდება

სოციალური დაცვის პროგრამების დეპარტამენტის დირექტორმა მოახსენა DRI-ს, რომ კანონის მიხედვით ბავშვთა გადაყვანა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებიდან ეკლესიის დაქვემდებარებულ დაწესებულებაში უნდა რეგულირდებოდეს სახელმწიფოს მიერ, რაც რეალურად არ ხდება³². ქართველი ბავშვების უფლებათა დამცველი აქტივისტის მიხედვით, ეს გადაყვანები სრულიად უკონტროლოდ ხორციელდება ყოველგვარი საბუთების გაფორმების გარეშე³³.

DRI-ს შემფოთება ბავშვების უსაფრთხოებაზე არარეგულირებად თავშესაფრებში იზრდება იმ ფაქტის გამო, რომ ადამიანის ტრეფიკინგი საქართველოში საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც პრობლემა. 2013 წელს ადამიანის ტრეფიკინგის მონიტორინგის და მის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო ოფისის აშშ დეპარტამენტმა საქართველო ჩამოაქვეითა „მეორე დონის“ ქვეყნებამდე, გაარკვია რა, რომ საქართველო აღარ აკმაყოფილებდა მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც საჭიროა ადამიანთა დაცვისთვის სექსუალური ტრეფიკინგის, ძალდატანებითი შრომის ან თანამედროვე მონობის სხვა ფორმებისგან³⁴.

ქალები და გოგონები საქართველოდან განიცდიან სექსუალურ ტრეფიკინგს ქვეყნის შიგნით, ასევე თურქეთში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში, ნაკლებად ეგვიპტეში, საბერძნეთში, რუსეთში, გერმანიაში, და ავსტრიაში. - აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2013 წელი, ტრეფიკინგი ადამიანთა მოყოლით³⁵.

ეკლესიის დაწესებულებების მონიტორინგის სრული არარსებობა ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობაში ადამიანის ტრეფიკინგთან მიმართებაში წარმოადგენს საშიშროებას იმ ბავშვებისთვის, ვინც იმყოფება სეგრეგირებულ, არარეგულირებად და დახურულ დაწესებულებებში.

B. არაადექვატური და დისკრიმინაციული საზოგადოებრივი მომსახურება

UNICEF-ის მიხედვით რეფორმების შედეგად შექმნილი საზოგადოებრივი მომსახურება ჯერჯერობით არასაკმარისია „ მრავლობითი და მძიმე შეზღუდვის“ მქონე ბავშვებისათვის. მაშინ როდესაც მინიმალური შეზღუდვის მქონე ბავშვების მომსახურება განხორციელებულია, UNICEF გვაუწყებს, რომ მძიმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ან მოზრდილი ბავშვების, რომლებიც ინსტიტუციონალიზებული არიან,

დამოუკიდებელი ადამიანის უფლებების მონიტორინგი. გაერო ადამიანის ტრეფიკინგს განსაზღვრავს როგორც: „ექსპლოატაციის მიზნით ადამიანთა დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება დაშინების გზით ან ძალის გამოყენებით ან იძულების, მოტაცების, თაღლითობის, მოტყუების, ძალადობის ან მოწყვლადობის გამო ან გასამრჯელოს მიცემით ან მიღებით დასტურის მისაღებად იმ პირისგან, რომელიც აკონტროლებს მეორე პირს. ექსპლოატაცია, როგორც მინიმუმ, მოიცავს სხვისი პროსტიტუციის ექსპლოატაციას ან სექსუალური ექსპლოატაციის სხვა ფორმებს, იძულებით მუშაობას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მოქცევას, ან ორგანოების ამოკვთას“.

შანსები მინდობით აღზრდაზე თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში, „ძალიან მცირეა“³⁶.

ისინი ვერ მიიღებენ მინდობით აღზრდის მომსახურებას, ინტენსიური დახმარების დროსაც კი - ამ დაწესებულებებში უამრავი ბავშვია. - ბავშვთა დაცვის ხელმძღვანელი, UNICEF- საქართველო (2012)³⁷.

ყველაზე მწვავე შემთხვევაშიც კი ჩვენ არ გვაქვს მათთვის არჩევანის საშუალება. მათი მომავალია დარჩენ დაწესებულებებში“ დირექტორი, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი (2011)³⁸.

ნაკლებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებიც კი აწყდებიან მნიშვნელოვან ბარიერებს დაწესებულების დატოვებისას. მინდობით აღზრდაში გადაყვანას ხელს უშლის პოტენციური აღზრდელი ოჯახების, რომლებსაც სურთ მოუარონ შშმ ბავშვებს, ფინანსური მდგომარეობა³⁹.

საქართველოს მთავრობის და UNICEF-ის ოფიციალური პირების მოხსენებებიდან ვიგებთ, რომ შშმ ბავშვები სრულიად გამორიცხეს ყველა 45 ოჯახური სახლიდან, რომელიც შეიქმნა დეინსტიტუციონალიზაციის განსახორციელებლად⁴⁰. 25 ასეთი სახლი აშენდა UNICEF-ის ფონდებით და არც ერთ მათგანში არ არიან შშმ ბავშვები, მიუხედავად აშშ სააგენტოს დაპირებისა პრეს-რელიზში, რომ ინიციატივა „ყურადღებას მიაქცევს შშმ ბავშვების ჩართვას“⁴¹.

ჩვენ გვჭირდება მცირე საოჯახო სახლების გარკვეული რაოდენობა შშმ ბავშვებისთვის. ჯერ არც ერთი არა გვაქვს. და გულახდილად რომ გითხრათ, ახლა სახელმწიფო ბიუჯეტში ასეთ პოზიციას ვერ ვპოულობთ. - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მინისტრის მოადგილე (2012)⁴².

შშმ ბავშვების მომსახურების ნაკლებობის აღნიშვნის გარდა, 2009 წლის ოქტომბრის პოლიტიკის მენეჯმენტის, რომელიც ჩატარდა UNICEF-ის მიერ, შეფასება ხაზს უსვამს რაიმე გარდამავალი გეგმის არარსებობას შშმ ბავშვების დასახმარებლად რომლებიც გამოვიდნენ თავშესაფრების ან საზოგადოებრივი დაწესებულებების ასაკიდან⁴³. „ყველა კარგი ნაბიჯი გადადგმული 18 წლამდე ბავშვების განვითარების დასახმარებლად შეიძლება საშიშროების ქვეშ დადგეს, თუ ისინი იძულებული იქნებიან დაიცვან თავისი თავი მომზადებისა და დახმარების გარეშე“, გვაფრთხილებს მოხსენება⁴⁴.

ორი წლის შემდეგ, 2011 წლის ნოემბერში ადგილობრივმა უფლებადამცველებმა მოახსენეს DRI-ს, რომ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ შშმ ბავშვები რჩებიან ყოველგვარი პროგრამის გარეთ:

მათ სხვა არჩევანი არა აქვთ გარდა იმისა, რომ როცა 18 წელი შეუსრულდებათ, გადავიდნენ მოზრდილთა დაწესებულებებში, რადგან მათ არა აქვთ განათლება, პროფესიული ან სოციალური უნარ ჩვევები, რომ მოუარონ თავის თავს და კონკურენტუნარიანი იყვნენ თანამედროვე საზოგადოებაში - დამოუკიდებელი ცხოვრების საქართველოს კოალიციის დირექტორი (2011)⁴⁵.

წარმოიშვა რამდენიმე კერძო ინიციატივა შშმ მოზრდილების დასასახლებლად, ორი ფერმერული და ორი საოჯახო სახლის ჩათვლით. თუმცა, სოციალური დაცვის პროგრამების საქართველოს დეპარტამენტის დირექტორის თქმით, ეს სახლები ან მთლიანად შევსებულია ან აქვთ არასაკმარისი რესურსები, რომ გამოდგენ ალტერნეტივად მრავალი შშმ მოზრდილის ინსტიტუციონალიზაციისთვის.

როდესაც შშმ ბავშვები 18 წელს აღწევენ, მათ აქვთ მხოლოდ სამი შესაძლებლობა: ისინი შეიძლება გადავიდნენ მოზრდილთა დაწესებულებებში მარტყოფში, ძვერში ან დუშეთში. - სოციალური დაცვის პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი, დასაქმების, ჯანმრთელობის და სოციალურ საქმეთა სამინისტრო (2013)⁴⁶.

შშმ ბავშვების სრულწლოვანების მიღწევისას გარდამავალი გეგმის არ არსებობამ თავისი შედეგები მოგვცა: DRI დოკუმენტურად აღწერს ათეულობით შშმ მოზრდილს საქართველოს მოზრდილთა დაწესებულებებში, რომლებიც რეფორმის პროცესის დაწყებისას პატარები იყვნენ. ახლა, როგორც მოზრდილები ისინი ვერ ისარგებლებენ ბავშვთა მოვლის მომავალი რეფორმებით.

C. ძალადობა საქართველოს დაწესებულებებში

გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე პირები განსაკუთრებით მოწყვლადი მოსახლეობაა ნებისმიერ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ისინი ვინც ჩაკეტილი არიან და მივიწყებული სეგრეგირებულ დაწესებულებებში. ის, რომ ადამიანის უფლებების დაცვა ეხება ინსტიტუციონალიზებულ მოსახლეობას დოკუმენტურად ასახულია ისეთი ავტორიტეტის მიერ, როგორცაა გაერთიანებული ერების ყოფილი სპეციალური მომხსენებელი ჯანმრთელობის უფლებებზე, პოლ ჰანტი, რომელმაც დაწესებულებაში მოთავსება განსაზღვრა, როგორც საფრთხე ჯანმრთელობის უფლებისათვის⁴⁸. გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების შესახებ, ხუან მენდესმა განაცხადა, რომ „უსასრულო დაკავებით გამოწვეული შიშის და შეშფოთების“ გამო დაწესებულებაში მოთავსებამ შეიძლება გამოიწვიოს წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დარღვევა⁴⁹.

2010 წლის ივლისიდან 2013 წლის სექტემბრამდე DRI-მ აღრიცხა საქართველოს რეზიდენტულ დაწესებულებებში მოთავსებულ შშმ ბავშვთა და მოზრდილთა უფლებების დარღვევის ფართო სპექტრი. DRI-მ შეისწავლა და შეაფასა ინსტიტუციონალიზებული ბავშვები

საქართველოს სახელმწიფო ბავშვთა სახლებში. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, პერსონალი აღნიშნავს, რომ შშმ ჩვილი ბავშვები მოკლებული არიან სიცოცხლის გადარჩენისთვის საჭირო სამედიცინო მზრუნველობას მხოლოდ იმიტომ, რომ ექიმები ფიქრობენ, რომ ბავშვებს არ ექნებათ კარგი ცხოვრება. შედეგად, თანამშრომლები ამბობენ, რომ ზოგჯერ ისინი მხოლოდ ელოდებიან ბავშვების სიკვდილს თავიანთ აკვნებში. 2009-2010 წლების 18 თვიან პერიოდში ადგილობრივმა ორგანიზაციამ „საქართველოს ბავშვები“ თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში აღრიცხა შშმ ბავშვების 30% სიკვდილიანობა⁵⁰.

DRI-ს ადვოკატირებით და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, როგორცაა საქართველოს ბავშვები, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის პერსონალმა DRI-ს მოახსენა, რომ 2013 წელს ბავშვთა უმრავლესობა იღებს მომსახურებას და სიკვდილიანობა მკვეთრად დაეცა. მაგრამ 2013 წლის სექტემბრის ვიზიტის დროს ჩვილ ბავშვთა სახლში DRI-მ აღმოაჩინა ბევრი ბავშვი, რომელსაც კვლავ არ უტარდება სამედიცინო მომსახურება.

ორგანიზაცია საქართველოს ბავშვების თანახმად, ჩვილ ბავშვთა სახლში ბავშვები, რომლებსაც აქვთ ჰიდროცეფალია (hydrocephalus) და ზურგის ტვინის თიაქარი (spina difida) უფრო ხშირად რჩებიან სამედიცინო დახმარების გარეშე⁵¹. DRI-ის ვიზიტებს შორის ერთი 4-თვიანი პერიოდის განმავლობაში 2012 წელს ჩვილ ბავშვთა სახლში ჰიდროცეფალიით დაავადებულ ბავშვთა 50% გარდაიცვალა (5-იდან 10 ბავშვამდე).

DRI კვლევამ გამოავლინა, რომ ბავშვებს, რომლებსაც სიცოცხლის დასაწყისში არ უტარდებათ მკურნალობა, სიცოცხლის ბოლოს არ უტარდებათ ტკივილგამაყუჩებელი პროცედურები. DRI-ის პედიატრიის ექსპერტის მიერ შემოწმებული არც ერთი ბავშვი, რომელიც განიცდიდა საშუალო ან მწვავე ტკივილს თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში არ იღებდა ტკივილის საწინააღმდეგო მკურნალობას⁵³.

ამ ბავშვების სიცოცხლის დიდი ნაწილის გადის ტკივილსა და დისკომფორტში. - დ. ლორენს კაპლანი, ბეისტიეტის ბეჰევიორულ-პედიატრიული საავადმყოფოს დირექტორი, მასაჩუსეტსი, აშშ⁵⁴.

გაეროს წამების შესახებ სპეციალური მომხსენებლის მიხედვით, ბავშვებისათვის ტკივილის საწინააღმდეგო წამლებზე უარის თქმა მწვავე ქრონიკული ტკივილის დროს შეიძლება გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის მიხედვით აღვიქვათ, როგორც წამება⁵⁵.

2913 წლის სექტემბერში DRI-ის მკვლევარებმა ნახეს 2 წლის ბავშვი ჰიდროცეფალიით, რომელიც იწვა აკვანში. თავი კალათბურთის ბურთის ხელა ქონდა, რაც იწვევდა მის სრულ უმოძრაობას. ბავშვს არ უტარებოდა არავითარი ტკივილ გამაყუჩებელი მკურნალობა. პერსონალმა აღნიშნა, რომ ამ ბავშვის ტკივილის გამაყუჩებელი ერთადერთი მეთოდი იყო საძილე აბები⁵⁶.

სენაკის ბავშვთა სახლში უფრო მოზრდილი შშმ ბავშვებისათვის DRI-მ აღწერა რამდენიმე დაუძღვრებული ბავშვი, რომლებიც, პერსონალის თქმით, საწოლს იყენენ მიჯაჭვული და მთელ დღეს საწოლში ატარებდნენ.

ერთ შემთხვევაში DRI-მ აღმოაჩინა 7 წლის გამოფიტული გოგონა, სახელად მარიამი, შუადღისას დაწესებულების ბნელ უკანა ოთახში, მარტო და მტირალი. გოგონა დაფარული იყო ნაწოლებით და ქონდა ატროფირებული კიდურები. ის გარდაიცვალა DRI-ის ვიზიტის შემდეგ ერთ თვეში.

ისინი, ვინც მიაღწევნ სრულწლოვანებას, გადაყვანილი არიან უვადოდ დიდ დაწესებულებებში - რომელთა ნაწილი აშენებულია აშშ მთავრობის დაფინანსებით.

საქართველოს კანონი ქმედუნარიანობის შესახებ შეუთავსებელია გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციასთან და ხელს უწყობს უფლებების უგულებელყოფას⁵⁷. დაწესებულებების მოზრდილ რეზიდენტებს ჩვეულებრივ ჩამორთმეული აქვთ ქმედუნარიანობის შესაძლებლობა და მოთავსებული არიან სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშ - პროცესი, რომელიც არ აძლევს პირს თავის ფინანსური, ლეგალური და პირადი ცხოვრების კონტროლს უფლებას.

ის მოზრდილებიც კი, ვინც ინარჩუნებს თავის იურიდიულ ინდივიდუალობას ხშირად იმ დაწესებულებების ხელშემყურენი არიან, სადაც ცხოვრობენ, რომ გამოიყენონ თავისი უფლებები. DRI-მ აღრიცხა დაწესებულებაში მცხოვრები სამი წყვილი, რომლებიც ყოველგვარი იურიდიული გადახედვის გარეშე ძალად დააშორეს ახალშობილ ბავშვებს.

რეაბილიტაციის პროგრამები თითქმის არ არსებობს⁵⁸. ერთი დაწესებულების მცხოვრებლებმა დაუდასტურეს DRI-ის მკვლევარებს, რომ ერთადერთი აქტიურობა რაც მათ შეიძლება შეასრულონ მთელი დღის განმავლობაში არის ქსოვა და მუსიკის მოსმენა⁵⁹. ორი მოზრდილთა ინსტიტუციის დირექტორების თქმით რეზიდენტები ხშირად იძულებული არიან უფასო სამუშაო შეასრულონ, როგორც „სამუშაო თერაპია“⁶⁰. საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა აღნიშნა, რომ ზოგჯერ თანამშრომლებს რეზიდენტები სახლში მიყავთ ფერმაში ან სახლში სამუშაოს შესასრულებლად⁶¹.

D. საერთაშორისო დონორების მიერ ახალი ინვესტიციების ჩადება სეგრეგირებულ დაწესებულებებში

კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები აღიარებენ ყველა შშმ პირის თანაბარ უფლებებს იცხოვროს საზოგადოებაში, ქონდეს თანაბარი არჩევანი და რომ გაატარებენ ეფექტურ და შესაბამის ზომებს, რათა შშმ პირებმა შეძლონ სრულად ისარგებლონ თავისი უფლებებით და სრულად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების ცხოვრებაში.. -

გაერთიანებული ერების კონვენცია შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ (პუნქტი 19).

შშმ მოზრდილები მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოთავსებული არიან საქართველოს მოზრდილთა დაწესებულებებში. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს მიღებული იქნა ეროვნული სამოქმედო გეგმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ, რომ ხელი შეუწყონ შშმ პირთა ჩართვას საზოგადოებაში, საქართველოს მთავრობამ მას შემდეგ გაზარდა გრძელვადიანი დაწესებულებების რაოდენობა შშმ მოზრდილთათვის - აშშ მთავრობის დაფინანსების გამოყენებით.

საქართველოს მთავრობამ გამოიყენა საერთაშორისო დახმარების 1 მილიონი დოლარი აშშ მთავრობისგან ორი ახალი გრძელვადიანი დაწესებულების გასახსნელად მოზრდილთათვის. ეს უდაოდ კეთილი განზრახვით იყო ნაკარნახევი, თუმცა საერთაშორისო განვითარების დახმარების შედეგად სამარადისოდ დაწესდა ინსტიტუციონალური მზრუნველობა ქვეყანაში, რომელმაც დეინსტიტუციონალიზაციის ვალდებულება იკისრა.

„არსებული დაწესებულებების ფიზიკური მდგომარეობის ძვირადღირებული გაუმჯობესებები, რაც ხშირად არასტანდარტული მზრუნველობის ფორმის მონახვის პასუხად გვევლინება, აგრეთვე პრობლემატურია, რადგან მათ არ შეუძლიათ შეცვლონ ინსტიტუციური კულტურა და უფრო ძნელი ხდება ამ დაწესებულებების დახურვა“ - ინსტიტუციურიდან ოჯახის მზრუნველობაზე გადასვლის ევროპული კომისიის სპეციალიზებული ექსპერტთა ჯგუფი⁶².

აშშ მთავრობამ დააფინანსა მარტყოფის დაწესებულების რეკონსტრუქცია, ახალი დაწესებულება 68 შშმ მოზრდილზეა გათვლილი და მდებარეობს თბილისიდან 40 კმ-ში. ევროპულ ზონაში აშშ შეიარაღებული ძალების სარდლობამ გაიღო 500 000 დოლარი რეკონსტრუქციის პროექტისთვის და USAID-მა გაიღო 100 000 დოლარი ავეჯის და მოწყობილობებისთვის⁶³. ბავშვები, რომლებიც გამოვიდნენ საქართველოს ბავშვთა სახლების წლოვანებიდან და რომლებმაც ვერ ისარგებლეს ბავშვზე ზრუნვის დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმით გადაიყვანეს მარტყოფში, სადაც ისინი დარჩებიან სიცოცხლის ბოლომდე⁶⁴.

აშშ მთავრობამ ეს მდგომარეობა დაახასიათა, როგორც „ოჯახური სტილით“ ან „ბინის სტილით“ ცხოვრება⁶⁵. DRI-ის მკვლევარებმა ეს დაახასიათება სრულიად არასწორად ჩათვალეს.

შენობა 3 სართულიანია, სადაც ყოველ სართულზე სძინავთ დაახლოებით 23 კაცს და ქალს. ოთახების უმეტესობაში 4 საწოლია და ყველა სააბაზანო, დღის (დასასვენებელი) ოთახი და სასადილო ოთახი საერთოა. დაწესებულების პერსონალი, რომელიც შედგება 13 მომვლელისგან 68 ადამიანზე დღის განმავლობაში - და მხოლოდ ერთი მომვლელისგან დამე

თითო სართულზე რაიმე მნიშვნელოვან რეაბილიტაციას ან ჰაბილიტაციას შეუძლებელს ხდის⁶⁶. ეტლებიანი რეზიდენტები უმთავრესად ცხოვრობენ მე-3-ე სართულზე - სადაც ისინი საკვებს იღებენ თავთავის ოთახებში. საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის 2013 წლის დასკვნის მიხედვით, რადგან თანამშრომლებმა უარი თქვეს ლიფტზე რეზიდენტების მიერ მისი გამოყენების აღსაკვეთად, ეტლიანი რეზიდენტებს არ შეუძლიათ ისარგებლონ სასადილო ოთახით პირველ სართულზე ან მეორე სართულის დასასვენებელი ოთახით, თუ მათ მომვლელი არ ჩაიყვანს. DRI-მ გამოკითხა რამდენიმე რეზიდენტი, რომლებიც ძალით დააშორეს შვილებს ან მშობლებს, როდესაც ისინი გადაიყვანეს მარტყოფის დაწესებულებაში. **მარტყოფის დაწესებულება ყველაზე ზუსტად შეიძლება აღვწეროთ, როგორც სეგრეგაციის დიდმასშტაბიანი დაწესებულება, რომელიც განაახლეს სპეციალურად შშმ პირთა მოსათავსებლად.**

მე გავიზარდე უდედოდ, დედის სიყვარულის გარეშე და არ მინდა, რომ ჩემი შვილიც უდედოდ გაიზარდოს - დედა აშშ დაფინანსებული მარტყოფის მოზრდილთა დაწესებულებიდან, რომელსაც 10 თვის ბავშვი მოაშორეს (2012)⁶⁷.

მას დამოუკიდებლად შეუძლია მოუაროს თავის შვილს.. არავითარი მიზეზი არ არის, რომ ბავშვი ჩამოაშორონ - დირექტორი, მარტყოფის დაწესებულება (2012).

აშშ მთავრობამ გამოყო 300 000 დოლარი ხანგრძლივი ყოფნის დაწესებულება „თემის“ აშენებისთვის 30 შშმ მოზრდილზე სოფელ გრემში⁶⁸. „თქვენ ნახავთ ადამიანებისთვის უფლებების ჩამორთმევის მაგალითს“ უთხრა სტუდენტმა-მოხალისემ DRI-ს „თემში“ შშმ რეზიდენტების შესახებ. „ეს საინტერესოა, რადგან მათ არავინ ეხმარება.. და ჩვენ იძულებული ვართ ვიმუშაოთ მომვლელებთან, რომელთაც არა აქვთ პროფესიული მომზადება“⁶⁹.

გარდა მარტყოფის და თემის დაწესებულებების დაფინანსებისა აშშ მთავრობამ დააფინანსა ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში და სენაკის ბავშვთა სახლში შშმ ბავშვებისათვის, სადაც DRI-მ აღნიშნა უგულბელყოფის და ძალადობის ფაქტები³. 2008 წელს UNICEF აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების სააგენტომ დახარჯა „ასეულობით ათასი ევრო“ სენაკის თავშესაფრის ორი ფრთის აღსადგენად⁷⁰.

³ USAID-მა დააფინანსა სათამაშო მოედანი და ხელოვნური ლანდშაფტი თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, ხოლო აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა დააფინანსა კომპიუტერების ოთახის და სავარჯიშო დარბაზის მოწყობა სენაკის დაწესებულებაში შშმ ბავშვებისათვის.

შემაჯამებელი რეკომენდაციები

შშმ პირთა უფლებების ლეგალური აღიარება სულ მეტ წარმატებას იძენს მსოფლიოში. შშმ პირთა უფლებების დაცვის გაეროს კონვენციის (CRPD) მიღების შემდეგ მთავრობებმა დაიწყეს კანონების და სოციალური მომსახურების სისტემების რეფორმირება შშმ პირთა ძირითადი უფლებების დასაცავად. CRPD პუნქტი 19 აღიარებს „ყველა შშმ პირთა უფლებას იცხოვროს საზოგადოებაში, ქონდეს არჩევანის უფლება“⁷¹. ამ უფლების დასამკვიდრებლად მთავრობებმა დაუყოვნებლივ უნდა გაატარონ სოციალური მომსახურების რეფორმები, რომ უზრუნველყონ აუცილებელი დახმარება საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის. გაეროს ახალი „ბავშვების ალტერნატიული მოვლის დირექტივების“ მიხედვით მთავრობებმა უნდა დაიწყონ საბავშვო დაწესებულებების „მოსკობის“ დაგეგმვა⁷².

2009 წელს საქართველომ ხელი მოაწერა CRPD და პასუხისმგებლობა აიღო ხელშეკრულების პრინციპის ინკლუზიის შესახებ. საჭირო ნაბიჯების გადადგმისას შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე ბავშვების ინტეგრირებისათვის საზოგადოებაში, **საქართველომ გადაწყვიტა ყველაზე მოწყვლადი ადამიანები - შშმ ბავშვები და მოზრდილები, ყურადღების გარეშე დაეტოვებინა**. ინსტიტუციონალიზებული მცირეწლოვნები კომპლექსური და მძიმე შეზღუდვის მქონე, შედარებით მოზრდილი შშმ ბავშვები, რომლებმაც მთელი ცხოვრება გაატარეს დაწესებულებებში და შშმ მოზრდილები საქართველომ მთლიანად უგულვებელყო, რითიც დაარღვია დისკრიმინაციის აკრძალვის ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის პუნქტი 14.

საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციები, რომლებმაც დააფინანსეს და დანერგეს დახმარების პროგრამები, უნდა დაემორჩილონ CRPD პუნქტ 32, რომელიც ბრძანებს, რომ „საერთაშორისო თანამშრომლობა, საერთაშორისო განვითარების პროგრამების ჩათვლით არის არადისკრიმინაციული და მისაწვდომი შშმ პირთათვის“.

ინსტიტუციონალიზებული შშმ ბავშვების რეფორმის გეგმის მიღმა დატოვებით საერთაშორისო სააგენტოების დახმარება საქართველოსთვის დისკრიმინაციული აღმოჩნდა შშმ პირთათვის. საქართველომ და საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს შეესრულებინათ CRPD პუნქტი 19 და 32 ვალდებულებები.

2013 წელს საქართველო ისევ გზის გასაყარზეა. თუ საქართველო გადაწყვეტს შეავსოს ეს ნაკლოვანებები სხვა ამბიციური და აგრესიული რეფორმის გატარებით, მას აქვს პოტენციალი გახდეს რეგიონის პირველი ქვეყანა, რომელიც მთლიანად მოახდენს შშმ ბავშვების ინტეგრირებას საზოგადოებაში.

თუ საქართველო ვერ შეძლებს გადადგას გადაუდებელი ნაბიჯები ყველა შშმ პირის ჩასართავად დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმაში, ჭეშმარიტი ცვლილებების პიტენციალი დაიკარგება - ჩანაცვლდება კოსმეტიკური რეფორმებით, რომელიც აიძულებს

ნამდვილ მონაწილეებს განაგრძონ ტანჯვა ძალადობის დაწესებულებებში და დარჩნენ უფრო უხილავი და უსიტყვო, ვიდრე უწინ.

A. შშმ პირთა უფლებების უზრუნველყოფა იცხოვრონ საზოგადოებაში

CRPD პუნქტი 19 მოითხოვს მთავრობებისგან დაუყოვნებლივ გადადგან ნაბიჯები შშმ ბავშვების და მოზრდილების ინტეგრაციისათვის. რეფორმის პროგრამა რომელიც გამორიცხავს შშმ პირებს დისკრიმინაციულია და ლახავს მათ უფლებას.

საქართველოს გამოცდილება დეინსტიტუციონალიზაციის საკითხში იძლევა ძირითად გაკვეთილს სხვა ქვეყნებისთვის, რომლებიც CRPD პუნქტი 19 დანერგვით ახორციელებენ დეინსტიტუციონალიზაციას: შშმ ბავშვები და მოზრდილები უნდა ჩაერთონ რეფორმის პროცესის დაწყებისთანავე. მთავარია დახმარება, რომ ყველა ადამიანმა შეძლოს იცხოვროს ოჯახის პირობებში. ეს სინამდვილეა, მიუხედავად მათი შეზღუდული შესაძლებლობების სიმძიმის ხარისხისა⁴.

UNICEF-ის განცხადების მიუხედავად, რომ საქართველოს სამი სახელმწიფო დაწესებულება შშმ ბავშვებისათვის დაიხურებოდა 2012 წლის ბოლოსთვის, ეს დაპირება ჯერჯერობით შესრულებული არ არის⁷³. მომსახურება თემში კვლავ არაადეკვატურია, რომ დაეხმაროს შშმ პირების დეინსტიტუციონალიზაციას, ხოლო დაფინანსება და პოლიტიკური ნება, რომელიც არსებობდა რეფორმის დასაწყისში, გაქრა.

შშმ მოზრდილები მოთავსებული არიან სამუდამოდ ახალ დაწესებულებებში, რომლებიც აშენდა საერთაშორისო განვითარების დაფინანსებით. ეს მოქმედებს აშშ მთავრობის ქმედუნაროთა პოლიტიკის სულისკვეთებაზე, და ეს პოლიტიკა უნდა შეიცვალოს და გაირკვეს, რომ ასეთი დაფინანსება არღვევს აშშ კანონს.

ბევრ ქვეყანაში შშმ პირები მოთავსებული არიან საზარელ პირობებში სრული უპატივცემულობით მათი უფლებებისადმი. ამ უფლებებს პატივი უნდა სცენ - ქმედუნაროთა დაცვის პოლიტიკა, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო⁷⁴.

დაწესებულებებში, რომელსაც ეხმარებოდა საერთაშორისო განვითარების ფონდები საქართველოში, DRI-ის მკვლევარებმა დაადასტურეს ჩვილი ბავშვების ნელი, მტკივნეული სიკვდილი. სამედიცინო მოვლის გამიზნული შეწყვეტით შედეგად: ბავშვები, რომლებიც უგულვებელყოფას და სტიმულირების ნაკლებობას განიცდიან, რაც იწვევს თვით-

⁴ ქმედუნარობის წინააღმდეგ გატარებულმა წარმატებულმა რეფორმებმა გვიჩვენა, რომ შესაძლებელი და სავსებით მიზანშეწონილია მწვავე შშმ პირთა მოთავსება მცირე, ოჯახურ გარემოში. მაგ. როგორცაა აშშ პენსილვანიის პენჰარსტის დაწესებულება, ოკლაჰომას ჰისომის მემორიალური ცენტრი და როდერტ ვუდ ჯობსონის ორგანიზაციის ეროვნული თვით-გამორკვევის ინიციატივა.

დაზიანებას; და ბავშვები, რომელთა ავადმყოფობა იმდენად გამწვავდა შესაბამისი ინდივიდუალური მოვლის არარსებობით, რომ ისინი პერმანენტულად მიეჯაჭვნენ ლოგინს.

ძირითადი რეკომენდაციები

- საქართველო მთავრობამ უნდა (A) გამოყოს ფინანსები აუცილებელი შშმ ბავშვების და მოზრდილების დეინსტიტუციონალიზაციისთვის, რომლებიც რჩებიან სახელმწიფო დაწესებულებებში და შექმნას თემზე დაფუძნებული ალტერნატივები შესაბამისი მომსახურებით და დაცვით; და (B) შექმნას თემის დახმარება, რომელიც აუცილებელია, რომ დაიგეგმოს ბავშვთა ყველა დაწესებულების ლიკვიდაცია, კერძო და საეკლესიო დაწესებულებების ჩათვლით;
- UNICEF-მა უნდა შეიმუშაოს საუკეთესო პრაქტიკის გლობალური განცხადება იმის შესახებ, რომ ქვეყნის ოფისები არ მოახდენენ შშმ ბავშვების დისკრიმინაციას დეინსტიტუციონალიზაციის და სისტემის რეფორმის დაგეგმვისას. იმის მაგივრად, რომ შშმ ბავშვებზე ზრუნვა ბოლო ადგილზე იყოს, შშმ ბავშვები უნდა იყვნენ რეფორმების ყველა ასპექტის ნაწილი;
- აშშ-მა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები, რომ უზრუნველყოს, რომ მომავალი ინვესტიციები არ ჩაიდება სეგრეგაციულ ზრუნვაში არც საქართველოში და არც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. USAID-ის შშმ პირთა დაცვის პოლიტიკა უნდა გადაიხედოს და ასახოს ეს აკრძალვა. აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტმა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა მიიღოს ყოვლისმომცველი შშმ პირთა დაცვის პოლიტიკა საერთაშორისო დახმარების პროგრამების მიმართებაში.
- აშშ-მ წვლილი შეიტანა არსებულ სეგრეგაციის სისტემაში და პასუხისმგებელია, რომ გამოასწოროს მისი არასწორი შედეგები, რომლებმაც შშმ მოზრდილები დატოვა საზოგადოებიდან სეგრეგირებულ მდგომარეობაში. ეს მოზრდილები გარიყულობის პერსპექტივის წინ აღმოჩნდნენ, რომ მთელი ცხოვრება დარჩებიან აშშ დაფინანსებულ დაწესებულებებში. აშშ-მა უნდა გამოიხატოს დაფინანსება, რომ უზრუნველყოს შშმ პირთა, რომლებიც რჩებიან საქართველოს აშშ-ს დაფინანსებულ დაწესებულებებში, დაუყოვნებლივი დეინსტიტუციონალიზაცია და განავითაროს შესაბამისი თემის მომსახურება, რომ მათ შეძლონ იცხოვრონ სავსე, შინაარსიანი ცხოვრებით.

B. ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა

შშმ ბავშვები ყოველდღიურად იღუპებიან საქართველოს ბავშვთა სახლებში, რადგან მოკლებული არიან სასიცოცხლო ქირურგიულ მომსახურებას, რომელიც შეიძლება მიიღონ საქართველოში. გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის პუნქტი 24 აცხადებს, რომ ერებმა ყველა ბავშვი უნდა უზრუნველყონ უმაღლესი მისაწვდომი მომსახურებით და საშუალებებით და „უნდა ცდილობდნენ, რომ არც ერთი ბავშვი არ დარჩეს უფლების გარეშე მიიღოს ჯანმრთელობის დაცვისთვის საჭირო მომსახურება“⁷⁵.

CRPD პუნქტი 25 ავალებს სახელმწიფოებს „აღკვეთონ ჯანმრთელობის დაცვაზე ან ჯანმრთელობის მომსახურებაზე უარის თქმა. შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე“. გარდა ამისა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ „მომსახურება, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს და თავიდან აგვაცილებს ქმედუუნარობას, მათ შორის ბავშვებში..“⁷⁶.

უფრო მეტიც, ბავშვებისთვის ტკივილგამაყუჩებელი მკურნალობის უარყოფა მწვავე ქრონიკული ტკივილის დროს თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის მიხედვით შეიძლება განვიხილოთ როგორც წამება . 2013 წლის თებერვალში გაეროს წამების შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა, ხუან მენდესმა გამოსცა მოხსენება, რომელშიც დეტალურად არის მოყვანილი ძალადობის ტიპები ჯანდაცვის დაწესებულებებში, რომლებიც საერთაშორისო კანონის მიხედვით შეიძლება შეფასდეს როგორც წამება ან ცუდი მოპყრობა. მენდესი ასკვნის, რომ როდესაც ექიმები უარს ამბობენ ტკივილის მოხსნაზე, რაც „პაციენტს წირავს ტკივილისაგან ზედმეტი ტანჯვისთვის, სახელმწიფოები არა მარტო ეწინააღმდეგებიან ჯანმრთელობის უფლებას, არამედ არღვევენ წამების და ცუდი მოპყრობის ამკრძალავ ვალდებულებას⁷⁷.

ასეთი განმარტებისთვის აუცილებელი იქნება პასუხისმგებელი პირების სისხლისსამართლებრივი დევნა წამების წინააღმდეგ კონვენციის პუნქტი 7 მიხედვით.

ძირითადი რეკომენდაციები

- საქართველოს მთავრობამ უნდა დააწესოს მონიტორინგის სისტემა, რომ უზრუნველყოს ჰიდროცეფალიით (hydrocephalus) და ზურგის ტვინის თიაქრით (spina bifida) დაავადებული ბავშვების დაუყოვნებლივი სამედიცინო მომსახურება და შესაბამისი მომდევნო დაკვირვება;
- საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ტკივილგამაყუჩებელი წამლების არსებობა და ხელმისაწვდომობა ბავშვებისთვის, რომლებიც განიცდიან ტკივილს თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში;
- საქართველოს მთავრობამ უნდა მოამზადოს მთელი ქვეყნის მასშტაბით თემზე დაფუძნებული ჯანმრთელობის ცენტრები, რომ შშმ ბავშვები და მოზრდილები უზრუნველყოფილი იყონ ჯანდაცვით და დახმარებით. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი უნდა დაიხუროს - ან გადაკეთდეს არა-რეზიდენტულ ცენტრად ექსპერტიზის და ტრეინინგისთვის.

C. დაიცავით ბავშვები ტრეფიკინგისგან

საქართველოში საეკლესიო თავშესაფრებზე კონტროლის, რეგულირების ან მონიტორინგის არარსებობა ყველა ბავშვს - განსაკუთრებით შშმ ბავშვებს დიდ საფრთხეში აგდებს. UNICEF-ის წარმომადგენლის მიხედვით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თავშესაფრები „სრულიად უკონტროლო“ არიან⁷⁸. წარმომადგენელმა ახსნა, რომ რადგან ეკლესია ძალიან ძლიერია საქართველოში, ეს მგრძობიარე პოლიტიკურ საკითხად იქცა.

საქართველოს მთავრობის სოციალური დაცვის პროგრამების დეპარტამენტის დირექტორმა დაუდასტურა DRI-ის, რომ ეკლესიის დაწესებულებებს საქართველოში არ აქვთ სპეციალური ლიცენზია ბავშვების მისაღებად, მაგრამ მიუხედავად ამისა “ძალიან ძნელი“ იქნება ეკლესიასთან შეჭიდება.

გვატემალაში და მექსიკაში DRI-ს ბოლო გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ტერფიკინგის აყვავება იწყება იმ დაწესებულებების დახურულ კარს მიღმა, რომლებიც ყოველგვარი კონტროლის, რეგულაციის ან რეგულარული მონიტორინგის გარეშე არიან დარჩენილნი. და მსოფლიოს ყველა კუთხეში სხვადასხვა ორგანიზაციებმა გვიჩვენა, რომ ბავშვები ძალიან ხშირად გაყავთ თავშესაფრებიდან პროსტიტუციის მიზნით როგორც ეს აღმოჩნდა რუსეთში, ჩინეთში, კამბოჯაში, პორტუგალიაში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში⁷⁹.

ძირითადი რეკომენდაციები

- საქართველოს მთავრობამ უნდა დააწესოს დამოუკიდებელი უსაფრთხოების და კონტროლის მექანიზმები კერძო და საეკლესიო დაწესებულებებში ტერფიკინგის, ექსპლუატაციის, სისასტიკის და ძალადობის წინააღმდეგ.
- საქართველოს მთავრობამ უნდა მოახდინოს ბავშვთა და მოზრდილთა რეგისტრაცია ყველა დაწესებულებაში. უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც თვალყურს ადევნებს პირთა მიღების, გაშვების, სიკვდილის და დაწესებულებიდან დაწესებულებაში ან სხვა ადგილას გადაყვანის პროცესებს, ისე რომ ეს პირები არ გაქრენ საზოგადოებიდან. ინფორმაცია სრული რაოდენობის შესახებ და პირთა დახასიათება, რომლებიც იღებენ მომსახურებას, უნდა გამოქვეყნდეს და გასაჯაროვდეს.

შენიშვნები

¹ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), მსოფლიო ანგარიში ქმედუვნარობის შესახებ 2011 (2011) *ხელმისაწვდომია* http://whqlibdoc.who.int/publications/2011/9789240685215_eng.pdf (ბოლო შესვლა 2013 წ., 4 დეკ.)

² გაერთიანებული ერების (UN) უფლებამოსილება, *კონვენციის რატიფიკაცია/მიერთება*: 138, *ხელმისაწვდომია* <http://www.un.org/disabilities/> (ბოლო შესვლა 5 დეკ., 2013, 12:27).

³ გაეროს გენერალური მდივანი, *მზრუნველობის და მართლმსაჯულების სისტემები*, კვლევა: ძალადობა ბავშვების წინააღმდეგ, 2006)5 დეკ., 2013, 12:13) <http://www.unicef.org/violencestudy/incare.html>. „ გადავარჩინოთ ბავშვების მიხედვით 'ფაქტიური რიცხვი სავარაუდოდ, უფრო დიდია დაურეგისტრირებელი დაწესებულებების გამრავლების და მოწყვლადი ბავშვების შესახებ მონაცემების ნაკლებობის გამო“. „ზოგი ასახელებს 10 მილიონს და მეტს“, ერიკ როზენტალი და ლორი აპერნი, *ბავშვების იზოლაცია მსოფლიო მასშტაბით: ადამიანის უფლებები კატეგორიულად მოითხოვს ინსტიტუციონალიზაციის მოსპობას*, 12 ჟურნალი - ფსიქიური ჯანდაცვა. 193, 195 (2013).

⁴ იხ. ერიკ როზენტალი და ლორი აპერნი, *ბავშვების იზოლაცია მსოფლიო მასშტაბით: ადამიანის უფლებები კატეგორიულად მოითხოვს ინსტიტუციონალიზაციის მოსპობას*, 12 ჟურნალი - ფსიქიური ჯანდაცვა. 193-200 (2013)

⁵ იხ. გაეროს გენერალური მდივანი, *მზრუნველობის და მართლმსაჯულების სისტემები*, კვლევა: ძალადობა ბავშვების წინააღმდეგ, 2006 <http://www.unicef.org/violencestudy/incare.html>.

⁶ საქართველოს სახალხო დამცველი, ეროვნული პრევენციული მექანიზმი: მოხსენება ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ შშმ პირთა დაწესებულებებში (2012), *ხელმისაწვდომია* <http://www.ombudsman.ge/files/downloads/en/rbzhlpymnnahtxlpjyz.pdf> (ბოლო შესვლა დეკ. 5, 2013).

⁷ ე-მეილი აარონ გრინბერგის, ბავშვთა დაცვის ხელმძღვანელი, UNICEF-საქართველო, ერიკ მეითუსს, უფლებების დაცვის ასოციაცია, ქმედუვნაროთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია (დეკ.13, 2011 01:17EST)

⁸ ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია. G.A. Res. 44/25, U.N. GAOR, 44-ე სესია, U.N. Doc. A/44/736 (ნოემბ. 20, 1989), ძალაში შევიდა 2 სექტ. 1990 [შემდგომი CRC], საქართველომ შექმნა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციასთან მიერთების ინსტრუმენტი (გახდა ხელშეკრულების მხარე) 1994 წ. 2 ივნისს.

⁹ ადამიანთა უფლებების და ფუნდამენტალური თავისუფლებების დაცვის კონვენცია, ევროპული ხელშეკრულების საბჭო, სერია 5, ძალაში შევიდა 1953 წ. 3 სექტ. [შემდგომი ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპული კონვენცია]. დეტალურად ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპული კონვენციის შესახებ http://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf. საქართველომ შექმნა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციასთან მიერთების ინსტრუმენტი (გახდა ხელშეკრულების მხარე) 1999 წ.

¹⁰ კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაკუმანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ, G.A. Res. 39/46, U.N. GAOR, 39-ე სესია, U.N. Doc. A/39/51 (Dec. 10, 1984) ძალაში შევიდა 1987

წ. 26 ივნისს [შემდეგში კონვენცია წამების წინააღმდეგ]. საქართველომ შექმნა წამების წინააღმდეგ კონვენციასთან მიერთების ინსტრუმენტი (გახდა ხელშეკრულების მხარე) 1994 წ. 26 ოქტ.

¹¹ შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, G.A. Res. 60/106, UN GAOR 61-ე სესია., U.N. Doc. A/Res/61/106, ძალაში შევიდა 2008 წ.3 მაისს (დეკ.13,2006) [შემდეგში CRPD], საქართველომ ხელი მიაწება 2009 წ. 7 ოქტ. CRPD ტექსტი გაეროს რეზოლუციების მიმართებაში და ხელმომწერთა და სახელმწიფოების მხარეების განახლებული სია მოთავსებულია გაეროს ვებ-საიტზე <http://www.un.org/disabilities/> (ბოლო შესვლა დეკ. 4, 2013).

¹² გრეგორი ლ.ჰანა, მოძრაობის სტერეოტიპული დარღვევა და ყრმობის, ბავშვობის ან სიყმაწვილის დარღვევა, ფსიქიატრიის ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო 2359, 2364 (ჰაროლდ ი.კაპლანი და ჟ.სადოკი, გამომც.1995 წ.)

¹³ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, აშშ ევროპის და აზიის (EUR/ACE) დახმარების კოორდინატორის ოფისი, ჯანმრთელობის და სოციალური ინფრასტრუქტურის სპეციალური თემატური დასკვნა, საერთაშორისო ბიზნესის და ტექნიკური კონსულტანტები, Inc., (2012), ხელმისაწვდომია <http://www.state.gov/documents/organization/193678.pdf> (ბოლო შესვლა 5 დეკ., 2013).

¹⁴ ინტერვიუ არონ გრინბერგთან, ბავშვთა დაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, UNICEF-საქართველო, თბილისი, საქართველო, (2012, 14 ნოემბ.)

¹⁵ კლერ ო'ბრიენი და ტატა ჭანტურიძე, UNICEF: საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის შეფასება: საბოლოო ანგარიში, ოქსფორდის პოლიტიკის მენეჯმენტი (2009), xi, ხელმისაწვდომია http://www.unicef.org/ceecis/Georgia_Child_Welfare_Assessment_report_2009.pdf (ბოლო შესვლა დეკ. 5, 2013).

¹⁶ ვიდეო: მინისტრის კომენტარი ბავშვთა ზრუნვის თემაზე. ჯანდაცვის სამინისტრო (ნოემბ. 13, 2013) ხელმისაწვდომია <http://www.youtube.com/watch?v=Xvjr-ySwcLs> (ბოლო შესვლა დეკ. 5, 2013)

¹⁷ ინტერვიუ გიორგი კაკაჩუასთან, სოციალური დაცვის პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს დასაქმების, ჯანდაცვის და სოციალურ საქმეთა სამინისტრო, თბილისი, საქართველო (სექტ. 18, 2013).

¹⁸ ჯოდი მაკ-ფილიპსი, საქართველოში აღმზრდელის და მცირე საოჯახო სახლების მნიშვნელობა დიდ დაწესებულებებთან შედარებით, UNICEF NEWSLINE (ივნისი, 17, 2013), http://www.unicef.org/infobycountry/georgia_69653.html (ბოლო შესვლა 5 დეკ. 2013) იხ. აგრეთვე ; USAID, საოჯახო სახლები გადაარჩენს საქართველოს გაჭირვებულ ბავშვებს, შედეგები და მონაცემები: სიცოცხლის გარდაქმნა (სექტ.10, 2013), <http://www.usaid.gov/results-data/success-stories/children-find-opportunities-grow-group-home> (ბოლო შესვლა ივნისი 17, 2013)

¹⁹ ინტერვიუ ანა არლანაშვილთან, ბავშვების და ქალების უფლების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, თბილისი, საქართველო (სექტ.17, 2013)

²⁰ ინტერვიუ ბელა სონლულაშვილთან, საქართველოს საპატრიარქო, ტბილისი, საქართველო (სექტ.19, 2013)

²¹ ინტერვიუ მედეა კაკაჩიასთან, აშშ სააგენტო საერთაშორისო განვითარებისთვის -საქართველოს მისია, თბილისი, საქართველო (სექტ.16, 2013)

²³ ო'ბრიენი და ჭანტურიძე, იხ. ზევით შენიშვნა 15, viii.

²⁴ ინტერვიუ მედეა კაკაჩიასთან, აშშ სააგენტო საერთაშორისო განვითარებისთვის -საქართველოს მისია, თბილისი, საქართველო (სექტ.16, 2913)

²⁵ იხ. შენიშვნა 19.

²⁶ ინტერვიუები დირექტორთან და რეზიდენტებთან, მარტყოფის შშმ მოზრდილთა დაწესებულება, მარტყოფი, საქართველო (ნოემბ. 13, 2012).

²⁷ ინტერვიუ დირექტორთან, მარტყოფის შშმ მოზრდილთა დაწესებულება, მარტყოფი, საქართველო (ნოემბ. 13, 2012).

²⁸ ინტერვიუ გიორგი კაკაჩუასთან, სოციალური დაცვის პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს დასაქმების, ჯანდაცვის და სოციალურ საქმეთა სამინისტრო, თბილისი, საქართველო (სექტ. 18, 2913).

²⁹ იგივე

³⁰ კარენ არმენაკიანი, საქართველოს ობლები სომხებს ემუქრებიან? GEORGIA TIMES, (იანვ. 24, 2013, 18:05), <http://www.georgiatimes.info/en/articles/85842.html>. იხ. აგრეთვე: ქართველი აქტივისტის ი-მეილი ერიკ მეთიუსს, დაცვის ასოციაცია, ქმედუუნაროთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია (აგვ. 22, 2013 01:09 EST).

³¹ იხ. შენიშვნა 19.

³² იხ. შენიშვნა 27.

³³ ინტერვიუ ბავშვთა უფლების დაცვის აქტივისტი, საქართველო (სექტ. 15, 2913).

³⁴ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2013. ტრევიკინგი ადამიანთა მონაცემებით -საქართველო, 19 ივნისი 2013, 175, ხელმისაწვდომია <http://www.state.gov/documents/organization/210739.pdf> (ბოლო შესვლა დეკ.5, 2013)

³⁵ იგივე

³⁶ ინტერვიუ აარონ გრინბერგთან, ბავშვთა დაცვის ორგანიზაცია, UNICEF-საქართველო, თბილისი, საქართველო (ნოემბ.14, 2012)

³⁷ იგივე

³⁸ ინტერვიუ დირექტორთან, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი, თბილისი, საქართველო (ოქტ.20, 2011)

³⁹ ყველა ბავშვი, ბავშვთა მოვლის ალტერნატიული მომსახურების საჭიროების შეფასება (2012), 3,29, ხელმისაწვდომია <http://www.everychild.ge/assets/Reports/Final-EvC-CoG-Needs-Assessment-post-EU-ENG.pdf> (ბოლო შესვლა დეკ.5, 2013).

⁴⁰ შენიშვნა 27.

⁴¹ პრეს-რელიზი, საერთაშორისო განვითარების აშშ სააგენტო (USAID), USAID/UNICEF ახალი ინიციატივა უსაფრთხო ოჯახის გარემოს შექმნისთვის მოწყვლადი ბავშვებისათვის (სექტ.16, 2010), ხელმისაწვდომია <http://georgia.usaid.gov/news/press-releases/2010/09/16/392> (ბოლო შესვლა დეკ. 5, 2013).

⁴² ინტერვიუ ირაკლი ნადარეისკვილთან, მინისტრის მოადგილე, დასაქმების, ჯანდაცვის და სოციალურ საქმეთა სამინისტრო, თბილისი, საქართველო (ნოემბ.12, 2012)

⁴³ ო'ბრიენი და ჭანტურიძე, შენიშვნა 15.

⁴⁴ ო'ბრიენი და ჭანტურიძე, შენიშვნა 15, vi.

⁴⁵ გიორგი ძნელაძის ი-მეილი, დირექტორი, საქართველოს კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, უფლებების დაცვის ასოციაცია, ქმედუუნქროთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია (ნოემბ. 9, 2011 02:57 EST)

⁴⁶ შენიშვნა 27.

⁴⁸ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ყოველი ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების შესახებ, პოლ ჰანტი, ეკონომიკური და სოციალური საბჭო: ადამიანის უფლებების დაცვის კომისია გაეროს დოკ. E/CN4/2003/58, პარ. 90.93. (თებ. 13. 2003) [შემდგომში სპეციალური მომხსენებელი ჯანმრთელობის უფლების შესახებ] ხელმისაწვდომია

<http://www.un.org/womenwatch/ods/e-CN4-2003-58-E.pdf> (ბოლო შესვლა 5 დეკ. 2013)

⁴⁹ სპეციალური მომხსენებელი საბჭოსი წამების და სხვა სასტიკი, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ, გაეროს დოკ. A/HRC/22/53, პარ. 69. 22-ე სესია (თებ.1,2013) [შემდგომში: სპეციალური მომხსენებელი წამების შესახებ] ხელმისაწვდომია <http://www.refworld.org/docid/51136ae62.html> (ბოლო შესვლა დეკ. 6, 2013).

⁵⁰ საქართველოს ბავშვები, მოხსენება თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში ბავშვების მიღების და გამოშვების შეფასების შესახებ (2010), 8, ხელმისაწვდომია <http://www.cog.ge/en/files/TIH-EN.pdf> (ბოლო შესვლა დეკ.6, 2013).

⁵¹ ინტერვიუ ჯაბა ნაჭყებიასთან, დირექტორი, საქართველოს ბავშვები, თბილისი, საქართველო, (ნოემბ. 12, 2012)

⁵³ ლორენს ს. კაპლანი, მ.დ., მეცნიერების მაგისტრი, სპეციალური კომპლექსური სამედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე ბავშვების კლინიკური შეფასება თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, სენაკის შშმ ბავშვთა დაწესებულებაში და მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლში (2012). მ.დ-ის კაპლანის შეფასების ძირითადი დებულებები მოცემულია ანგარიშის დანართში)

⁵⁴ იგივე

⁵⁵ სპეციალური მომხსენებელი წამების შესახებ, იხ. შენიშვნა 47, პარ.51-56.

⁵⁶ ინტერვიუ ექიმთან, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი, თბილისი, საქართველო [სექტ. 19, 2013)

⁵⁷ ინტერვიუ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან, თბილისი, საქართველო, (თებ.13, 2012) იხ. აგრეთვე: ფსიქიკურად არასრულფასოვანთა დაცვის ცენტრი, აღმზრდელი და ადამიანის უფლებები საქართველოში, კანონის და პოლიტიკის ანალიზი (2007)

⁵⁸ საქართველოს სახალხო დამცველი, იხ. შენიშვნა 6 , 27-29.

⁵⁹ ინტერვიუები რეზიდენტებთან, მარტყოფის შშმ მოზრდილთა დაწესებულება, მარტყოფი, საქართველო (ნოემბ. 13, 2012).

⁶⁰ იხ. შენიშვნა 26.

⁶¹ საქართველოს სახალხო დამცველი, იხ. შენიშვნა 6 , 13-19.

⁶² ევროპის კომისია, დასაქმების, სოციალურ საქმეთა და თანაბარი შესაძლებლობების გენერალური დირექტორატის სპეციალური ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში, ინსტიტუციური მზრუნველობიდან ოჯახურ მზრუნველობაზე გადასვლა, 6 (2009).

⁶³ პრეს-რელიზი, აშშ საელჩო - საქართველო. აშშ ელჩი ხსნის შშმ მოზრდილთა სახლს (სექტ.8, 2011) ხელმისაწვდომია http://georgia.usembassy.gov/programs-and-events/embassy-news-2011/home_adults_diasbilities.html (ბოლო შესვლა დეკ. 5, 2013).

⁶⁴ შენიშვნა 26.

⁶⁵ სტეფან ჰაუკინის, USAID-საქართველოს მისიის დირექტორის, წერილი ერიკ როზენტალს, შემსრულებელ დირექტორს, შშმ პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია (იანვ. 5, 2012).

⁶⁶ შენიშვნა 26.

⁶⁷ იგივე.

⁶⁸ პრეს-რელიზი, აშშ არმია, USACE კავკასიის პროექტის ოფისი აშენებს სპეციალური საჭიროების სახლს საქართველოში (დეკ. 22, 2009), ხელმისაწვდომია <http://www.army.mil/article/32195/> (ბოლო შესვლა 5 დეკ., 2013).

⁶⁹ ინტერვიუ პრაქტიკანტებთან, თემის დაწესებულება შშმ მოზრდილთათვის, გრემი, საქართველო (ნოემბ.15, 2012)

⁷⁰ დორნ ტაუნსენდი, UNICEF საქართველოში, კონფლიქტის დროს დაზარალებული ინვალიდი ბავშვების დახმარება, UNICEF საგანგებო და ჰუმანიტარული მოქმედებების დროს, (ოქტ.17,2008), ხელმისაწვდომია http://www.unicef.org/emerg/index_46006.html (ბოლო შესვლა დეკ.6, 2013).

⁷¹ CRPD, შენიშვნა **Error! Bookmark not defined.**, სტ. 19.

⁷² მითითებები ბავშვების ალტერნატიული მოვლის შესახებ, G.A Res. Adopted. GAOR, 64-ე სესია. U.N. A/RES/64/142, პარ. 22 (ნოემბ. 20, 1989), ხელმისაწვდომია <http://www.refworld.org/docid/4c3acd162.html> (ბოლო შესვლა დეკ. 6, 2013).

⁷² CRC, იხ. შენიშვნა 8.

⁷³ ვიდეო, ოჯახი ყველა ბავშვს, UNICEF-საქართველო (ივლისი 26, 2012), ხელმისაწვდომია http://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=ygvYnZeVeVs (ბოლო შესვლა დეკ. 6, 2013).

⁷⁴ USAID, პოლიტიკის და პროგრამების კოორდინაციის ბიურო, USAID მოხსენება ქმედუუნაროთა შესახებ პოლიტიკაზე (სექტ. 12, 1997), 3 ხელმისაწვდომია http://pdf.usaid.gov/pdf_docs/PDABQ631.pdf (ბოლო შესვლა დეკ. 6, 2013).

⁷⁵ CRC, შენიშვნა 8, სტ. 24(1).

⁷⁶ CRPD, შენიშვნა 11, სტ. 25(f), სტ. 25(b).

⁷⁷ სპეციალური მომხსენებელი წამების შესახებ. შენიშვნა 49, პარ. 51-56.

⁷⁸ ინტერვიუ ქეთი მელიქაძესთან, სოციალური უზრუნველყოფის თანამშრომელი, UNICEF-საქართველო, თბილისი, საქართველო (სექტ.17, 2013).

⁷⁹ გაილს ტრემლეტი და სააგენტოები, კარლოს კრუზს მიესაჯა 7 წელი პედოფილისთვის, THE GUARDIAN (სექტ.3, 2010) ხელმისაწვდომია <http://www.theguardian.com/world/2010/sep/03/portugal-paedophile-ring> (ბოლო შესვლა დეკ.6, 2013). იხ. აგრეთვე: ამელია ჯენტლმენი, თავშესაფრის პედოფილები დააპატიმრეს, THE GUARDIAN (მარტი 18, 2006) ხელმისაწვდომია <http://www.theguardian.com/uk/2006/mar/19/ukcrime.ameliagentleman> (ბოლო შესვლა დეკ.6, 2013). იხ. აგრეთვე: პედოფილი, რომელიც კამბოჯის თავშესაფარს ხელმძღვანელობდა, დაიჭირეს ბავშვებზე ძალადობისთვის, WALES ONLINE (მარტი 12, 2011) <http://www.walesonline.co.uk/news/wales-news/paedophile-who-ran-cambodian-orphanage-1845589> (ბოლო შესვლა დეკ. 5, 2013). იხ. აგრეთვე: ჩარლი კუსტერი, მოიტაცეს და გაყიდეს: ჩინეთში ბავშვთა ტრეფიკინგის შავბნელი სამყარო, THE ATLANTIC (ივლისი 25, 2013), <http://www.theatlantic.com/china/archive/2013/07/kidnapped-and-sold-inside-the-dark-world-of-child-trafficking-in-china/278107/> (ბოლო შესვლა დეკ. 5, 2013). იხ. აგრეთვე: ჰოლი ბარკჰალტერი, პუბლიცისტის გვერდი, აშშ უნდა გამოიყენოს თავისი უფლება აიძულოს რუსეთი შეწყვიტოს ობოლ ბავშვთა ტრეფიკინგი, THE WASHINGTON POST (მაისი 24, 2013) http://articles.washingtonpost.com/2013-05-24/opinions/39502744_1_combat-trafficking-labor-trafficking-sexual-exploitation (ბოლო შესვლა დეკ. 6, 2013).